

## მათ დატოვეს ნათელი კვალი

„ქმედება დასრულებულად ითვლება არა მაშინ როდესაც ის მოხდა, არამედ როდესაც ის შთამომავალთა განკარგულებაში გადადის“ – სტეფან ცვაიგი

ერის ისტორია ფასდება და მალღდება მისი სახელოვანი შვილების ღვაწლითა და სახელით. უკვდავებას წელთა სიმრავლე როდი ქმნის. მე19–20 საუკუნეებში მოღვაწე საამაყო ნიჭიერ ქალბატონთა პლეადა ებრძოდა ჩაკეტილობას, ვიწრო შეზღუდულ ჰორიზონტს, წერა-კითხვის მასიურ უცოდინარობას, სტიქიურ რელიგიურ ფანატიზმს. ჩვენი გმირების ცხოვრების შინაარსს და სწრაფვას წინაპართა მიწაზე ამოსვლა შეადგენდა, მაგრამ ერის ბევრ რჩეულს უფლის განგებამ ნაადრევად დიასპორაში გარდაცვალების ხვედრი არგუნა. მანდილოსნები, რომელმაც დატოვეს ნათელი კვალი სკოლაში სწავლობდნენ წარჩინებით და ოქროს მედლით ასრულებდნენ სიმწიფის ატესტაციას, უმაღლეს სასწავლებელში მათი სურათი ფრიადოსანთა დაფიდან არ ჩამოხსნილა, სიბეჯითიდ და თავდადებით გამოირჩეოდნენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში. პერიოდი, რომელიც ჩვენ უნდა მიმოვიხილოთ 1872-2019 წლებით შემოიფარგლება. ყველა ისტორიულ ეპოქას აქვს თავისი მახასიებლები: პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური. ეს პერიოდი კი ხასიათდება სოციალური უწონასწორობით, ეროვნული ბორკილებით (კვოტა), გაჭირვებით, ომებით და ხელმოცარულთა სიმრავლით. იმ პერიოდში ქალის გასვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე ბევრ დამამცირებელ მითქმა-მოთქმას იწვევდა და შრომით საქმიანობაში მისი ჩაბმა გარკვეულ მორალურ სიმტკიცესაც მოითხოვდა.

### როზა თავდიდიშვილი (1886-1967)



როზა თავდიდიშვილის მდიდარი და შინაარსიანი მოღვაწეობა ია-ვარდებით როდი იყო მოფენილი. ქალიშვილის მეხსიერებაში წარუშლელად აღიბეჭდა უსიხარულო ბავშვობა, თავისი ხალხის დუხჭირი, ყოფა, ჩამორჩენა. სკოლაშიც ბეჯითად სწავლობდა და როცა აზრი, რწმენა ჩამოუყალიბდა, მტკიცედ, ურყევად გადაწყვიტა: ძველი გზით სიარული არ შეიძლებოდა და იგი თამამად წინ აღუდგა ბნელეთს, ყველასა და ყველაფერს, რაც ნიშნავდა უძრაობას, ახალი ყოფისაგან მოწყვეტას. დაუღალავად ქადაგებდა განათლებას, საზოგადოებრივ ფერხულში ჩაბმას, ახალგაზრდების მიზიდვას ხალხის

სასარგებლო საქმიანობაში, ქალების გამოყვანას ვიწრო ოჯახური ჩარჩოებიდან.

შემდგომში, ცნობილმა ებრაელმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ ხანანაშვილმა მას „განმანათლებელი სიდონია“ უწოდა.

პირად საუბრებში, შეხვედრებზე, პრესის მეშვეობით, იგი დაუღალავად ზრუნავდა და იღწვოდა იმისათვის, რომ მოზარდებს სკოლაში ესწავლათ, ახალგაზრდებს ხელი აეღოთ მეწვრილმანეობაზე, კერძო ხელოსნობაზე, წასულიყვნენ ფაბრიკა-ქარხნებში, დაწაფებოდნენ კულტურას, ცოდნას, დაკავშირებოდნენ ბიბლიოთეკებს, წითელ კუთხეებს; ქალებს ზურგი ექციათ მომქანცველ-ერთფეროვანი ოჯახური ყოველდღიურობისათვის და საქვეყნო საქმეებს კვალში ჩადგომოდნენ.

მისი აქტიური მონაწილეობით, ღარიბკობმა გახსნა საამქროები და ებრაელობა მის მუშაობაში მიიზიდა. 1926-1928 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და აღმასკომის წევრი, მონაწილეობდა ქალთა სადღეღვაწიო კლუბის მუშაობაში. ხელმძღვანელობდა ებრაელთა უბნის ქალთა სადღეღვაწო პუნქტს, მასწავლებლობდა ებრაელების წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში.

როზა თავდიდიშვილის შემოქმედების გვირგვინია „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“, რომელშიც ჩანს ავტორის განსწავლულობა, ალღო და დაკვირვებულ თვალი. მისმა რედაქტორმა, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა სერგი მაკალათიამ ხაზგასმით აღნიშნა წიგნის შემეცნებითი მნიშვნელობა: „ამ შრომაში მოთავსებული ეთნოგრაფიული მასალა ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჩვენ გვაქვს ქართველ ებრაელთა წარსულის შესწავლის საქმეში“.

იმ ადამიანთა შვილები და შვილთაშვილები, რომლებიც როზა თავდიდიშვილმა ჩვენი ეპოქის სიკეთეს აზიარა, ახალი სამყაროს მოწინავე მშენებლები, ნოვატორები, მეცნიერები, კვლევითი და საკონსტრუქტურო კერების ხელმძღვანელები არიან.

როზა თავდიდიშვილმა ჩვენს ნორჩებს უძღვნა ბევრი დიდაქტიკური წიგნები: „ორი ყმა“, „თავსატეხი“, „გასართობი“, „საბავშვო მოთხრობები“, „ხატაურას წერილი მეგობრებს“, „ანდაზები რებუსებში“, „რებუსები“.

### ალექსანდრა რიჟინაშვილი (1890-1968)



ალექსანდრა დაიბადა იოსებ რიჟინაშვილის რევოლუციურად განწყობილ ოჯახში. ცნობილი რევოლუციონერის იცკა რიჟინაშვილის და, საშა რიჟინაშვილი, ადამიანი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ფრიად საჭირო და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა ქუთაისში.

იმ დროს, რელიგიური ბანგით იყო გაჟღენთილი ებრაული მოსახლეობა. 1928 წელს ებრაელთა უბანში გაჩნდა დიდი ხანძარი, რის შედეგადაც დაიწვა ასობით სახლი. მრავალი ბავშვი ობლად დარჩნენ.

წითელი ჯვრის კომიტეტმა საშა რიჟინაშვილს დაავალა 50 უღედამამო ბავშვთან ერთად გამგზავრებულიყო თბილისში ბავშვთა კოლექტორში, რომელიც განათლების სამინისტროს გამგებლობაში იმყოფებოდა. ერთ

წელიწადზე მეტ ხანს დარჩა საშა თბილისში. ქუთაისში დაბრუნებისას, მას გამოჰყვა ბავშვთა ერთი ნაწილი. სახკომსაბჭომ გარკვეული სახსრები გაიღო ამ ბავშვთა აღზრდის საჭიროებისათვის.

„საშა დეიდამ“ მშობლის მოსიყვარულე ხელი დაატყო მათ და მალე ებრაელთა უბანში ოჯახიდან ოჯახს გადაწვდა ბავშვებისადმი რიჟინაშვილის გულისხმიერი დამოკიდებულების ამბავი. ეს გახდა მიზეზი, რომ ბევრმა ქუჩაში მოხეტიალე მოზარდმა თავი მიანება „გაჭირვების პროფესიებს“ და საშა რიჟინაშვილს მიანდო თავისი სწავლა-აღზრდის საქმე.

მიუხედავად დიდი მიდრეკილებისა, საშას სრული განათლება არ მიუღია. დედისგან მალულად, რადგან მისი აზრით „სწავლა ქალის საქმე არ იყო“, მხოლოდ საკვირაო სკოლის ოთხი კლასი დაამთავრა. ასე, რომ იგი პედაგოგი ვერ იქნებოდა, მაგრამ მას ჰქონდა დიდი ნდობა და პატივისცემა თვისტომთა შორის, ჰქონდა კეთილი გული და მახვილი ადამიანური ალღო, რითაც ბევრ ურჩ მშობელს გაუხსნა გონება და შემლო ბევრი გზააბნეული გამოეყვანა ცხოვრების ფართო გზაზე!

1929 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა ღარიბ ებრაელთა კომიტეტი. რიჟინაშვილს, როგორც ამ კომიტეტის აქტიურ წევრს, დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ადამიანთა მიზიდვის საქმეში. იმავე წელს, საშა რიჟინაშვილი დაინიშნა ტრიკოტაჟის საქსოვი სააქმროს გამგედ, შემდეგ, ეს საამქრო გადაკეთდა ტრიკოტაჟის ფაბრიკად. რიჟინაშვილი 23 წლის მანძილზე მისი უცვლელი დირექტორი იყო.

ამაგდარ ქალს, დიდი დამსახურება მიუძღვის აქ მომუშავე ადამიანთა შეგნების ამაღლების, მათი კულტურული და მორალური სახის ჩამოყალიბების რთულ საქმეში.

### დინა დავარაშვილი (1910-1993)



დინა დავარაშვილი - დამსახურებული ექიმი, პოეტი ქალი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი ისრაელის ქვეყნისა და თავდადებული სიონისტი (რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა მისთვისაც და ოპახისთვისაც იმდროინდელ საბჭოთა ქვეყანაში). დინა დავარაშვილი დაიბადა დაბა სურამში. ბავშვობა ყვარელში გაატარა, მოწაფეობისა და სტუდენტობის წლები - თბილისში.

ახალგაზრდობის წლებიდანვე 1926-1935 წწ. აქტიურად მოღვაწეობდა ღარიბ ებრაელთა დამხმარე, წერა-კითხვის გამავრცელებელ კომიტეტში. მისი ლექსები და ნარკვევები იბეჭდებოდა იმდროინდელ გაზეთ „მშრომელ ებრაელში“, ხოლო ლიტერატურული აღმანახის პირველ ნომერში იბეჭდებოდა მისი ხუთი ლექსი. ამ პერიოდში ეცნობა იგი (რაც მასზე დიდ გავლენას ახდენს) ჩვენი ერის მოწინავე ადამიანებს: დავით და გერცელ ბააზოვებს, არონ კრიხელს, მორის დანიელოვს და სხვებს!

1937 წელს დინა დავარაშვილმა დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და უკვე ორი შვილის დედამ მეუღლესთან ერთად ბათუმში დაიწყო მუშაობა ჯერ რესპუბლიკურ, შემდეგ კი ტუბერკულოზის სპეციალიზირებულ საავადმყოფოში ქალთა განყოფილების გამგედ!

დინა დავარაშვილი ეწეოდა რა მეცნიერულ მოღვაწეობას, როგორც ექიმი, გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი შრომა. მას მიენიჭა აჭარის დამსახურებული ექიმის წოდება და სახელმწიფო პერსონალური პენსიაც დაენიშნა. მისი ცხოვრების მთავარი ასპექტი კი პოეზია იყო.

საოცარი იყო მისი ტრფიალი ისრაელის ერისა და ქვეყნისა ყმაწვილქალობიდან მოყოლებული ხანდაზმულობამდე, რაც საკუთარ მეობაზეც და ოჯახზეც მეტად ჰქონდა ამაღლებული.

სამოციან წლებში დინა დავარაშვილი დაუკავშირდა საქართველოს ახალგაზრდული იატაკქვეშური მოძრაობის ხელმძღვანელებს და თავის მეუღლესთან, აწ განსვენებულ ექიმ ბემიამინ ბოთერაშვილთან ერთად დიდ ფინანსურ და საქმიან დახმარებას უწევდა ამ მოძრაობას. იგი მოგზაურობდა საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ და აღვივებდა მათში ეროვნული თვითშეგნების გრძნობასა და სიონისადმი სწრაფვას.

ამავე დროს იგი იყო შესანიშნავი დედა და აღზარდა სახელოვანი შვილები: მისი ვაჟი-ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბორის ბოთერაშვილი ისრაელის ერთ-ერთი სამხედრო ქარხნის წამყვანი სპეციალისტი გახლდა, ხოლო ქალიშვილი ცირა მშობლების კვალს გაჰყვა და ექიმად მუშაობდა.

1972 წელს დაიწყო რა საქართველოდან ისრაელში დიდი ნაკადის ამოსვლა, რაზეც დინა მთელი სიცოცხლის მანძილზე ოცნებობდა, მის ამ დიდ ოცნებას ბურუსი ეფინება. მისი

ქალიშვილის, ცირას მეუღლეს გზა ისრაელისაკენ გადაკეტილი აქვს. ძალბატონი დინა შენატრის ისრაელში წამომსვლელებს, გზას ულოცავს და იმედით აცილებს. მათ შორის არის მისი ვაჟიშვილი ოჯახით. დედის გული წამოსულ შვილსაც და სანატრელ სამშობლოსაც ლოცავს. მალე ამ გზას თვითონაც მოსდევს, საქართველოში ტოვებს ცირას და თითქოსდა ბოდიშით მიმართავს „დიდხანს ველოდი ამ გზას ნისლიანს, მე მუდამ იგი მქონდა ოცნებად“. მოგვიანებით ქალბატონმა ცირამ თავისი ოჯახის, ორი ნიჭიერი ექიმის შვილის სახით, ისრაელში საიმედო ცვლა ამოიყვანა და ამით მოიხადა ვალი ძვირფასი დედისა და საყვარელი სამშობლოს წინაშეც. ისრაელში ამოსვლით ასრულდა მისი ოცნება, ხანდაზმულმა და ვალმოხდილმა შვილმა თავისი ერისამ, სხეული მშობლიურ მიწას მიაბარა. სული კი თავის ლექსებში ჩააქსოვა დიდი სიყვარულით აჟღერებული.

### ესთერ თეთრუაშვილი (1911-1995)



მრავალი ცნობილი მოთხრობისა და ლექსის ავტორი, საქართველოს დამსახურებული ფარმაცევტი და აღიარებული ფარმაკოლოგი, ესთერ თეთრუაშვილი დაიბადა ახალციხეში.

ესთერი სწავლობდა თბილისში კაშენის ქუჩაზე მდებარე ღარიბ ებრაელთა 102-ე შრომის სკოლაში გერცელ ბააზოვის მოღვაწეობის დროს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მე-4 შრომის სკოლაში. 1934 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის ფარმაცევტულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1938 წელს!

30 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობდა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოსთან არსებულ აფთიაქში. როგორც ჩანს, წამლებმა ცუდად იმოქმედეს ესთერზე და მხედველობა დაკარგა.

სკოლაში კედლის გახეთში ხშირად იბეჭდებოდა ესთერის პატარ-პატარა ფელეტონები, ბევრ წიგნებს კითხულობდა, განსაკუთრებით უყვარდა ლექსები.

1974 წელს ესთერ თეთრუაშვილი ისრაელში ამოვიდა უსინათლო. უსინათლომ, უსაქმოდ და უმიზნოდ დარჩენილმა, გადაწყვიტა ლექსების წერა. თვალების ოპერაცია ისრაელში 1975 წელს გაიკეთა, რომელმაც შედეგიანად ჩაიარა და ესთერს მხედველობა დაუბრუნდა.

ესთერი პატრიოტული სულით იყო გამსჭვალული და ამ ნიადაგზე წერდა მოთხრობებს, ლექსებს, სტატიებს.

### ფაინა ბააზოვი (1911-1980)



ფაინა ბააზოვი იყო უფროსი ქალიშვილი რაბი დავით ბააზოვისა. დავით ბააზოვი კი იყო მეთაური იმ ბრწყინვალე ოჯახისა, სადაც აკნიდანვე ასწავლიდნენ თავის ხალხის სიყვარულსა და მსახურების მაღალ იდეალებს. დავით ბააზოვის ოჯახის ბედი ჩამოჰგავს ჩვენი ხალხის ბედს. არ ეწერა მას ბედნიერება. მისი ბავშვები დაიბადნენ თითქოს და მხოლოდ თავის ხალხის მსგავსი ტანჯვისათვის.

ცხოვრებამ არ არგუნა ფაინა ბააზოვს ქალური ბედნიერება:

„ღმერთმა არ მომცა ვყოფილიყავი ქალი“ - ხშირად ამბობდა იგი თავის შესახებ. ეს იყო

დაპატიმრებული მამისა და ძმების გათავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

ქალბატონი ფაინა ბააზოვი იყო იურისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი. იგი ითვლებოდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე ადვოკატად. ძმების, გერცელისა და ხაიმის, მსგავსად გაიარა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, ამ შესანიშნავი იურისტის სკოლა.

პროფესორი მიხეილ ზანდი აღნიშნავდა: „ქართველები დიდი სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ ენას. საქართველოს შვილები ტყუილ-უბრალოდ როდი არიან განთქმულნი თავიანთი ორატორული ხელოვნებით. ფაინა ბააზოვი ბრწყინვალედ ფლობდა ამ ხელოვნებას. ქართული ენის მცოდნენი მიდიოდნენ სასამართლოში, რათა მოესმინათ მისი გამოსვლები და დამტკბარიყვნენ მისი სიტყვის სილამაზით“.

ეგრეთ წოდებულთა ეკონომიკური პროცესების პერიოდში, როდესაც ბრალდებულებთა უმრავლესობა ქართველი ებრაელობა იყო, ფაინა ბააზოვი არაერთხელ იცავდა ბრალდებულებს არამარტო საქართველოში, არამედ მოსკოვშიც. მოსკოვში იგი იცავდა „როკოტოვის საქმის“ გამო დაპატიმრებულ ქართველ ებრაელებს, ძმებს პაპისმედოვებს. ისრაელში ამოსვლის წინ ფაინამ მოინახულა თბილისის ებრაელების სასაფლაო, სადაც დაკრძალულია მამამისი - სიონიზმის ფუძემდებელი საქართველოში, პირველი განმანათლებელი ქართველი ებრაელებისა - რაბი დავით ბააზოვი და ჩურჩულით დაატირა: „იძინეთ მშვიდად, ჩემო ძვირფასებო. მე თქვენთვის ვილოცებ იერუშალაიმში“.

ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი, შეძრწუნებული ბააზოვების ოჯახის ტრაგედიით, პატივისცემით იყო განწყობილი ფაინას მიმართ და მთავრობის მეთაურის პოსტიდან წასვლის შემდეგ, გახდა დავით და გერცელ ბააზოვების ხსოვნის უკვდავყოფის საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარე. 1976 წლის 2 მარტს გოლდა მეირის ხელმძღვანელობით გამართულ დავით და მისი ვაჟის, გერცელ ბააზოვის ხსოვნის საღამოზე თავის სიტყვაში მან აღნიშნა: „ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ, რომ ბააზოვების მოღვაწეობა ებრაელი ხალხისა და სიონიზმის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. ისრაელის საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ებრაელობას აქვს ხანგრძლივი ისტორია და მან საპატიო წვლილი შეიტანა სიონისტური იდეების გავრცელებაში. მან ბევრი მწუხარება, უბედურება გადაიტანა ამ ბრძოლაში და საუკუნეებში გამოატარა სიყვარული თავის ისტორიული სამშობლოსადმი“.

ფაინა ბააზოვის, როგორც ქართველ ებრაელთა ისტორიკოსის, შესახებ წარმოდგენას გვაძლევს სამი ნაშრომი:

1976 წელს ფაინა ბააზოვის მიერ შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული კრებული „დავით და გერცელ ბააზოვები“, გამოცემული ისრაელში და ფაინას მოკლე წინასიტყვაობა. ამ კრებულის შესახებ პავლე გოლდმტენინი აღნიშნავდა - „ბევრი სტატია და სიტყვა არ მოიძებნება, რომლების ასე პატარა მოცულობით შეიცავდნენ იდეათა ესოდენ ფართო არეს“.

1980 წელს იერუშალაიმში რუსულ ენაზე გამოვიდა ფაინა ბააზოვის წიგნი „კეთროვანნი“. ეს არის ისტორიული და ღრმად ადამიანური დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემულია არა მარტო ბრძოლა ფაინას მამისა და ძმების განთავისუფლებისათვის, არამედ იმ დროის შესანიშნავი ანალიზიცაა მოცემული. რამდენის არ უნდა დაიწეროს ბააზოვების შესახებ, ფაინას ეს წიგნი შეუცვლელად დარჩება როგორც საქართველოს ისტორიის 20-30-იანი წლების შესახებ უტყუარი ნაშრომი.

1983 წელს ფაინას დამ, ქალბატონმა პოლინა ბააზოვმა შეადგინა და თელ-ავივში გამოსცა რუსულ ენაზე „ფაინა ბააზოვის ხსოვნისადმი“. მასში შესულია ფაინას მეტად საინტერესო ნარკვევები-გამოკვლევა „მემკვიდრეობიდან“. ვერც ერთი ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის ფაინას ამ ნაშრომებს. ფაინას პუბლიცისტური მოღვაწეობიდან მინდა გამოვყო მისი ბრძოლა

ისრაელში რეპატრირებული ქართველი ებრაელების ღირსების დასაცავად. ამ საკითხს მან 1979 წელს სპეციალური სტატია მიუძღვნა. დასაწყისში იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირიდან ალიის „დიდი ნაკადის“ პერიოდში ქართველი ებრაელები შეადგენდნენ მასში არა ნაკლებ 25 პროცენტისა, თუ მეტს არა. მთელ ქართველ ებრაელობასთან მიმართებაში ისრაელში რეპატრირებულთა რაოდენობა 40 პროცენტს უდრიდა. ეს ციფრები აიძულებდნენ აბსორბციაზე პასუხისმგებელ პირებს უფრო სერიოზულად და დაკვირვებულად მოკიდებოდნენ ქართველ ებრაელებს, ვიდრე ეს იყო სინამდვილეში. მაშასადამე, საბჭოთა რეპატრიანტების სულიერი აბსორბციის მწვავე საკითხების განხილვისას, სრულიად უგულველყოფილი იყო ქართველ ებრაელთა ინტერესები. უფრო მეტიც, ისრაელელ ჟურნალისტებს, რომლებიც წერდნენ ქართველ ებრაელთა შესახებ, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ არც მათი გამოსვლის ქვეყნიდან, არც თავად მათ შესახებ. ამიტომ, ისრაელის მკვიდრს შორის ღრმად იყო დამკვიდრებული რწმენა, რომ ქართველი ებრაელები არიან ნაკლებად ცნობილი, ჩამორჩენილი ქვეყნიდან გამოსული ადამიანები, პრიმიტიულნი და უვიცნი, მოჩუბარნი, ქურდები და არამზადები.

„შემდგომი გაჩუმება, დანაშაულის ტოლფასოვანია“ - ასკვნის ქალბატონი ფაინა - ქართველი ებრაელების მიმართ აბუჩად ამგდებ დამოკიდებულებას და მათი სულიერი აბსორბციის პრობლემების სრულ უგულვებელყოფას შეეძლო მიეყვანა გამოუსწორებელ ტრაგიკულ შედეგებამდე ებრაელი ხალხის ამ ნაწილისათვის. განა არ არის დრო დავფიქრდეთ - ვინ არიან ისინი, ეს „ქართველები“, რატომ და რით ამოვიდნენ ისინი ისრაელში?, და სინამდვილეში იმსახურებენ ისინი ასეთ შეურაცყოფელ - აბუჩად ამგდებ დამოკიდებულებას თუ პირიქით? ისინი არიან მსხვერპლნი რაღაც საზედიწერო, მიუტევებელი შეცდომისა და ვიღაც სცოდავს მათ მიმართ? აი, ქალბატონ ფაინას წინაშე დასმული კითხვები.

ამის შესახებ ფაინა ბააზოვი მოკლედ გადმოგვცემს ქართველ ებრაელთა ცხოვრების თავისებურებებს. ქართველი ებრაელები ძლიერ განსხვავდებიან როგორც აშკენაზებისაგან, ისე სეფარდებისაგან. დიასპორიდან გამოტანილი მათი ისტორიული გამოცდილება, სრულიად სხვა არის. მოვიდნენ ისინი საქართველოში რამდენიმე ნაკადად პირველი და მეორე ტაძრის დანგრევის პერიოდში. მათ ოცდაექვსი საუკუნე გაატარეს საქართველოში, მთელი დანარჩენი ებრაული სამყაროსაგან სრულ იზოლაციაში. ეხება რა ებრაელების წასვლას საქართველოდან, ფაინა ბააზოვი ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას:

„არასოდეს ებრაელები საქართველოს არ ტოვებდნენ უკეთესი ხვედრის ძიებაში, მხოლოდ ერეც ისრაელის გამო. ძველად მოხუცები მიემგზავრებოდნენ იქ, რათა დამარბულიყვნენ წმინდა მიწაზე. ოლიმთა პირველი ჯგუფი გაემგზავრა პალესტინაში საქართველოდან 1925 წელს, მაგრამ მალე ხელისუფლებმა იგი შეწყვიტეს“. ფაინა ბააზოვის დასკვნა ასეთია:

„ქართველი ებრაელები არაჩვეულებრივად ენერგიული და ნიჭიერი ხალხია. ისინი ინახვენ შესანიშნავ ტრადიციებს და გააჩნიათ მაღალი ზნეობრივი თვისებები“.

ამრიგად, ფაინა ბააზოვის ზემოაღნიშნულმა სტატიამ, ხელი შეუწყო ქართველ ებრაელთა შესახებ სწორ, რეალურ შეხედულებათა ჩამოყალიბებას და მან უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ისრაელში ამოსულ ქართველ ებრაელთა მიმართ ისრაელის საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლის საქმეში.

## სიმა გორელაშვილი (1913-1995)



ქართველ ებრაელთა თემის ღირსეული წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე, დეაწლმოსილი მანდილოსანი ქალი-სიმა გორელაშვილი დაიბადა ქალაქ ბაქოში. მამა ადრე, სამამულო ომში დაეღუპა და ოჯახი საცხოვრებლად ქალაქ თბილისში გადმოვიდა.

სიმა გორელაშვილმა სწავლა დაიწყო 102ე შრომის სკოლაში. 1929 წელს ჩამოყალიბდა ღარიბ ებრაელთა კომიტეტი. მათი მიზანი იყო სხვადასხვა საამქროების დაარსება, სადაც თავს მოიყრიდა ებრაელი ხალხი. სწორედ ამ საამქროში სიმა ადრეულ წლებში იწყებს მუშაობას, რათა დახმარებოდა გაჭირვებულ ოჯახს.

ორი წლის მუშაობის შემდეგ, საამქრო ვარშავიდან საჩუქრად ღებულობს საქსოვ მანქანა „გროსერს“ და სიმა, როგორც მოწინავე მუშა, გადაწყვეტს ამ უზარმაზარ საქსოვ მანქანაზე. სიმამ სულ ადვილად გაართვა თავი მუშაობას და მისმა გამომუშავებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საღამოობით კი, იგი განაგრძობდა სწავლას 102ე შრომით სკოლაში. მის მასწავლებელთა შორის იყო ცნობილი ებრაელი მწერალი და პუბლიცისტი - გერცელ ბააზოვი, რომელმაც გაუცხოველა მას ებრაელი ერისა და მისი ისტორიისადმი სიყვარული.

სიმა გორელაშვილი ადრევე გაიტაცა იმხანად მოღურმა კომუნისტურმა იდეოლოგიამ და გახდა პარტიის წევრი. 1935 წელს გერცელ ბააზოვის წარდგენით, მას ირჩევენ ქალაქის საბჭოს დეპუტატად. გერცელმა დარიგება მისცა სიმას - დახმარებოდა გაჭირვებულებს. სიმა გულთთ ატარებდა ამ დარიგებას და ეს დღესაც ბევრისთვისაა ცნობილი.

ამავე წელს, როგორც კარგი მომუშავე, ლავრენტი ბერიამ წაიყვანა სამუშაოდ ცენტრალურ კომიტეტში განყოფილების უფროსად. ამ პერიოდში, თბილისში აკრძალული იყო ქაშერი ხორცის გაყიდვა. სალოცავის ეზოში გაუქმებული იქნა „ტებილა“ და სიმა, ებრაულ ტრადიციებზე აღზრდილი ფარულად მოქმედებს, რომ სამსახური არ დაკარგოს. მან აღადგინა ხორცის მაღაზია 26 კომისრების რაიონში და სატებილოც გაარემონტა, რომელიც დღესაც მოქმედებს.

1935-1937 წლები - სიმა გორელაშვილი გახლდათ თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის პირადი მდივანი. 1937-1946 წლები - სიმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის პირადი მდივანია. 1946-1971 წლები - ქალაქის საბჭოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს საქმეთა მმართველია.

სიმა გორელაშვილი გადაიყვანეს დამზადების სამინისტროში განყოფილების უფროსად. შემდეგ მინისტრთა საბჭოს ხე-ტძის მომმარაგებელთა სააღრიცხვო განყოფილების უფროსად.

სიმა გორელაშვილი 12 ჯერ იყო კალინინის რაიონის აგიტპუნქტის გამგე. მისი მუშაობის პერიოდში შესრულებული ყველა მასალა განიხილეს სესიაზე, რის შედეგადაც ხელმძღვანელობამ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში ერთ-ერთი დიდი განყოფილების უფროსად დანიშნა. მის განკარგულებაში იყო აგარაკი და ემსახურებოდა მთავრობის მანქანა პირადი მძღოლით.

სიმა გორელაშვილი 40 წელი გახლდათ პარტიის წევრი. სიმა დედასთან - ლია გორელაშვილთან ერთად 1982 წელს ამოდის ისრაელში. მან თავისი ცხოვრება გაატარა

ხალხის სამსახურში მაღალ თანამდებობებზე. სიმა ყოველთვის პოულობდა შესაძლებლობას, ფარულად თუ ცხადად დახმარებოდა ებრაელობას იმ დროებაში.

### პოლინა ბააზოვი (1915-2003)



პოლინა ბააზოვი დაიბადა თბილისში, ებრაელთა უბანში. იგი გაიზარდა სიონისტურ ოჯახში. ღირსება და სახელი მოიხვეჭეს სიონისტური სულისკვეთებით აღზრდილმა რაბი დავით ბააზოვის შვილებმა -მწერალმა გერცელ ბააზოვმა, იურისტებმა ხაიმმა და ფანიამ, ინჟინერმა მეირ ბააზოვმა.

დავითის უმცროსი ქალიშვილი პოლინა საზოგადოებას წარუდგენს გრცელ ტილოს ბააზოვთა მჩქეფარე, ტრაგიკული ცხოვრებისას „ფურცლები წარსულიდან“. ბააზოვის ოჯახი. თელ-ავივი, 2000 წელი.

ქალბატონი პოლინა იგონებდა: „ჩემს პირად ცხოვრებაში არ მაკლდა მეგობრები და არც მტრები. ბევრი სიხარული მხვდა წილად

და უფრო მეტი კი, სიმწრის დღეები. დედამ პურიტანულად აღმზარდა, რამაც თავისებური დადი დაასვა ჩემი შეგნებული ცხოვრების ჩამოყალიბებას, არასდროს გამირჩევია ამხანაგები მათი ქონებრივი სხვაობის მიხედვით. რატომღაც, ისე დამკვიდრდა ჩემს ცხოვრებაში, რომ ის, რაც ეპატიებოდა სხვებს, არ მეპატიებოდა მე...“

შედარებით უზრუნველი ბავშვობის შემდეგ, მძიმე და აუტანელი გახდა პოლინას ცხოვრება, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ და ცოდნისმოყვარემ იმ მძიმე პირობებშიც მოახერხა უნივერსიტეტის დამთავრება და „ხალხის მტრის ოჯახის წევრის“ დალით მრავალწლიანი სიარულის შემდეგ - სამსახურის მიღებაც. იგი შთამბეჭდავად აღწერს იმ წლებს და ჩვენ ერთხელ კიდევ გავივლით ტანჯვის იმ გზას, რაც მრავლის ხვედრი იყო იმ პერიოდში.

პოლინა რაბი დავით ბააზოვის უმცროსი ასული იგონებდა, თუ რას ნიშნავდა მისთვის დაბადებულიყო ოჯახში, რომელმაც მთლიანად თავი შესწირა სიონიზმის იდეებს. შემდეგისდაგვარად, ქალბატონი ფანია ცდილობდა, რომ პაშას ობლობა ნაკლებად ეგრძნო. მათ ოჯახში ხშირად მასპინძლობდნენ პოლინას ამხანაგ-მეგობრებს.

### მარიამ ფანიკაშვილი-ფიჩხაძე (1916-2000)





მარიამ ფიჩხაძე-ფანიკაშვილი, დაბადებული ქ.ქუთაისში, სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის თბილისის ფილიალში საფინანსო-ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრდა 1926 წელს. ორმოცდაათიან წლებში მუშაობდა დასავლეთ საქართველოს რაიონულ ფინგანში ჯერ ინსპექტორის, შემდეგ კი მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე. სამოციან და სამოცდაათიან წლებში პენსიაში გასვლამდე მოღვაწეობდა ქ.ქუთაისის სამშენებლო ბანკში ეკონომისტის, შემდგომ კი მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე. მუშაობის სხვა და სხვა პერიოდში მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო ჯილდო.

ჰყავდა მეუღლე და თემს დაუტოვა სამი სანიმუშო ქალიშვილი:

უფროსი -ინგა ფიჩხაძე-შავიტი-პედაგოგი (დაწყებითი კლასები); თამარ ფიჩხაძე - პედაგოგი-პიანისტი და უმცროსი ლეა - პედაგოგი-მევიოლინე.

### ზინა ათანელაშვილი (1918-1996)



დაიბადა ქ.თბილისში. საშუალო სკოლის შემდეგ დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მთელი ცხოვრების მანძილზე მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. პარალელურად მუშაობდა კორესპონდენტად გაზეთ „თბილისის“, „სოფლის ცხოვრების“ და „სახალხო განათლების“ რედაქციებში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია, მოთხრობები და ესსეები, ძირითადად აღმზრდელობით თემაზე. იგი გახლავთ ერთი რომანის – „ორი ოჯახი“ და ორი პიესის – „დათო ყვინი“ და „დამსხვრეული ოცნებები“-ს ავტორი. მისი ნაწარმოებები ინახება თბილისის ებრაელთა მუზეუმის არქივში.


### რაისა ფიჩხაძე-კაკიტელაშვილი (1918-1979)



დაიბადა ქ.ქუთაისში. 1939 წელს დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. სტუდენტობის პერიოდში პრეპარატორად მუშაობდა. 1949 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, ასისტენტად, ხოლო 1957 წლიდან კათედრის უფროსი მასწავლებლის დანამდებობაზე. 1973 წელს დაიცვა დისერტაცია ქ.ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. 1974 წლიდან კათედრის დოცენტი გახლდათ და ინსტიტუტის რექტორის თანაშემწე სასწავლო დარგში. გამოქვეყნებული აქვს

უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიაში 50 სამეცნიერო ნაშრომზე მეტი. დაჯილდოებული გახლდათ მედლებით და სიგელებით საჯარო განათლების სფეროში.

### მარგალიტა ელიგულაშვილი (1919-1980)



მარგალიტა ელიგულაშვილი დაიბადა ქ.ქუთაისში, უმდიდრეს ოჯახში: ლაღად და უზრუნველად, გუვერნიორ-მოახლეებით გარშემორტყმული იზრდებოდა.

მარგალიტა ქუთაისში წარჩინებით ამთავრებს საშუალო სკოლას და უგამოცდოდ ირიცხება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ქირურგიული განხრით, რომელსაც 1941 წელს ამთავრებს. კურსდამთავრებულებს სასიხარულო გამოსაშვები საღამოს მაგივრად, მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე წასვლის განაწილება ხვდათ წილად.

მადლიან ებრაელ ხალხს არ აკლდა საყოველთაოდ ცნობილი ქალები, ქალაქსა თუ სოფლებში აღზევებული ხელოვანნიც და მეომარნიც, მაგრამ ქართველი ებრაელი ქალიშვილი ფრონტზე, იშვიათობა იყო. მარგალიტამ 1941დან 1946 წლამდე სავლელ ჰოსპიტალთან ერთად განვლო მთელი ბელორუსია, პოლონეთი და გერმანიის დედაქალაქში, რაინსტაგთან გადაიღო სამახსოვრო სურათები. რა არ ნახა, რა არ გადახდა, რა არ გადაიტანა... სისხლი, სიკვდილი, ხეობრები, სასოწარკვეთა, შიმშილი, უწყალობა, სანთლების მოციმციმე უუქზე სასწრაფო ოპერაციები, ხელებაკანკალებული, თვალბამდვრეული გულაჩუყებული რომ იდგა საოპერაციო მაგიდასთან და უფალს ევედრებოდა, შემწეობა გაეწია მისთვის, რათა სიკვდილისგან კიდევ ერთი სიცოცხლე გამოეგლიჯა.

ეს პატარა ქალი ბუნებით უხვად, უშურველად იყო დაჯილდოებული გარეგნული მომხიბლველობით, თანადგომა-თანაგრძნობის უნარით. დიდ-ბუნებოვანი, დიდსულოვანი, კეთილი გულით, ანდამატური ძალით ყველას იზიდავდა და ხიბლავდა.

და იმ აწეწილ, არეულ, შავ-ბნელით მოცულ სამყაროში, ერთადერთი მისი შვება, სიმღერა იყო. ბრწყინვალე მეცო-სოპრანო ჰქონდა და ბოშურ სიმღერებს მთელი გატაცებით მღეროდა, როცა კი ამის საშუალება ეძლეოდა. იცოდა, რომ დაჭრილებს აამებდა და ცოტა ხნით ტკივილს ავიწყებდა.

მხოლოდ 1946 წლის დასაწყისში მოულოდნელად შეადო კარი მშობლიური სახლისა უვნებელმა, სამხედრო სამოსელში გამოწყობილმა, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულმა. იმავე წელს ცოლად მიჰყვება ქუთაისის მკვიდრს, ეკონომისტს, ფრონტგამოვლილ აბრამ ელიგულაშვილს, რომელმაც ომის ნატყვიარები მუდმივ

სასუფეველში (1997 წ.) ჩაიტანა. მარგალიტა იწყებს მუშაობას თბილისის პირველ საავადმყოფოში მე19 პოლიკლინიკის ქირურგიული განყოფილების გამგედ.

პარტიის წევრი, 26 კომისრების რაიონის სამამულო ომის მონაწილეთა კომისიის თავმჯდომარე, ქალთა კოლონიების ჯანმრთელობის დაცვის კომისიების წევრი.

ბედნიერი ოჯახი, ბრწყინვალე მეუღლე და სამი შვილი! უფროსი-მედეა, ქიმიკოსი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული; ესთერი - ინჟინერი, დაამთავრა მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი; ალექსანდრე - მათემატიკოსი, უნივერსიტეტის პარალელურად ამთავრებს კონსერვატორიას (ვიოლინოს განხრით).

ძირძველ ებრაულ ოჯახში, ყველა ებრაული ღღესასწაული ცხადად თუ მალვით სრულდებოდა. უსაზღვრო ენერჯის პატრონი, დიდი შემართებისა და ნებისყოფის ქალი, მარგალიტა, მთელი უბნის გაჭირვების ტალკვესად იქცა. მისთვის არ არსებობდა დაღლა, დამე, უძილობა, თეთრი ხალათი და წამლებით სავსე საკვოიაჟი მუდამ მზად ჰქონდა და პირველი დამახებისთანავე ავადმყოფს მშველელად ევლინებოდა. ხშირად, ხელმოკლე ოჯახში სურსათ-სანოვაგით დატვირთული ჩანთებით მისულა და თუ საჭირო წამალი არ აღმოჩენია, რეცეპტთან ფულიც დაუტოვებია.


### ესფირ ცეიტლინ ხვოლესი (1920-2004)



უკრაინაში, კრემენჩუხში დაიბადა. რვა კლასი გერმანულ სკოლაში სწავლობდა, შემდგომ კი ჰიმნაზია „ივრიტ“-ში, რომელიც 1938 წელს დაამთავრა. სრულყოფილად ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ ენებს. 1941 წლის ივლისში შეძლო თავის პატარა დასთან ერთად ჩრთილოეთ კავკასიაში ევაკუირება და როდესაც აქაც მოაღწიეს გერმანელებმა თბილისში გადმოსახლდა. აქ დაამთავრა წითელი ჯვრის მედლების კურსები და შემდგომ ჩარიცხულ იქნა სამედიცინო ინსტიტუტში, კისლოვოდსკში; ომის დასრულების შემდეგ რიგაში გადადის სასწავლებლად. 1947 წელს გაიცნო ალექსანდრე ხვოლესი, ქორწინების შემდეგ თბილისში გადადიან საცხოვრებლად, შემდგომ

კი ცხინვალში. ესფირი ექიმად მუშაობდა ტუბდისპანსერში და შრომით კოლონიაში. 1955 წლიდან ოჯახი თბილისში ბრუნდება. ქ-ნი ესიას მეუღლე დიდი მეცნიერი, მათემატიკოსი ალექსანდრე (იაშა) ხვოლესი, რაბი აბრამ ხვოლესის შვილიშვილი ბრძანდებოდა. იაშა ხვოლეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან, საბჭოთა კავშირიდან ისრაელში ალიის მძიმე პერიოდში მრავალი ლტოლვილი პიროვნების თბილისში სპეციალობით სამსახურში მოწყობასა და ისრაელში ალიის ხელის შეწყობაში. ზოგიერთი მათგანი თვეობით მის ოჯახში ცხოვრობდა. ამ კეთილშობილურ საქმეში მძლავრად ედგა მხარში მისი დიდებული მეუღლე ექიმი-პოლიგლოტი ესფირ ცეიტლინი. 1970 წლიდან ქ-ნი ესია ბავშვთა კარდიორევმატოლოგად მუშაობდა და როდესაც 1990 წელს ოჯახი ისრაელში გამოემგზავრა, ბაქანი სავსე იყო მის მიერ განკურნებული ბავშვებით და მათი მშობლებით. ისრაელში ესია ვოლფსონის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში მსახურობდა და „მაკაბი“ს საავადმყოფო სალაროს ექიმად. ქ-ნი ესია ხვოლესის ოჯახის ტრადიციებს დიდებულად აგრძელებენ მათი ვაჟი - მეცნიერებათა დოქტორი აბენ ხვოლესი და ქალიშვილი ბასია ხვოლესი - ექიმი-ფსიქიატრი. სამწუხაროდ მათ გვერდით აღარ არის ნიჭიერი მათემატიკოსი - როზა ხვოლესი.

## სოფი (სონია) კრიხელი-მანაშეროვი (1921-1982)



დაიბადა ქ.თბილისში. მშობლები ქ-ნი თამარი და ბატონი ზებო კერძო სამკერვალო ატელიეს ფლობელნი გახლდნენ. სონიამ საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა და გათხოვდა იოსებ მორდების-ძე მანაშეროვზე. ბატონი იოსები ბრძანდებოდა ნიჭიერი მათემატიკოსი, მრავალმხრივად განათლებული პიროვნება, ცხინვალის ებრაული სკოლის დირექტორი. იოსები აღიზარდა პატივცემული რაბის ოჯახში, ეწაფებოდა თორას და ივრითს. იოსები ჯარში გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე და 1942 წლიდან

უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. ახალგაზრდა ქვრივს ორი ობლის აღზრდაში მშობლები ამოუდგნენ გვერდში; ისინი თბილისიდან ცხინვალში გადავიდნენ საცხოვრებლად.

ომის დამთავრების შემდეგ სონია იწყებს მუშაობას კორექტორად სამხრეთ-ოსეთის საოლქო ქართულენოვანი გაზეთის “საბჭოთა ოსეთი”-ს რედაქციაში. თუ გავითვალისწინებთ იმ დროინდელი სტამბის აღჭურვილობას და ტექნიკურ ბაზას, წინ წარმოგვიდგება ის რთული პერიოდი, როდესაც ცენტრიდან ინფორმაციის მოწოდება იგვიანებდა, პასუხისმგებლობა კი უსაზღვროდ დიდი იყო. ქალბატონი სონია დღე და ღამეს ასწორებდა, რომ რაიმე შეცდომა არ გაპარულიყო, ვინაიდან ნებისმიერი უზუსტობა გენერალური მდივნის მოხსენებაში დანაშაულად მოიაზრებოდა. სონიას გულმოდგინება, მოთმინება და ერთგულება რედაქციის მიერ აღნიშნული იქნა და 1955 წელს ის წარდგენილი იყო სამხეთ ოსეთის ოლქის მშრომელთა საბჭოს დეპუტატად, არაერთი საპატიო სიგელით იყო დაჯილდოებული. მთავარი კი აღსანიშნავია, თუ როგორი პატივისცემით სარგებლობდა ქალბატონი სონია სამსახურში და ქალაქში. მოკრძალებული, სათნო და შრომისმოყვარე სონია ზრდიდა ორ შვილს და ორ ძმისშვილს. მისი ვაჟი ალექსანდრე - დოქტორი, მსახურობდა სამხრეთი ოსეთის ოლქის სანიტარულ-ეპიდემიურ სადგურის მთავარ ექიმად. ქალიშვილი, ჟანა, თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მსახურობდა წამყვან ინჟინერად „ჰიდროწყალმეურნეობა“ ში; მეუღლე - ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბორის ჯანაშვილი. ქალბატონი სონიას მონაგარი ამჟამად ისრაელში ცხოვრობენ.

## სარა მეგრელიშვილი—ბარდანაშვილი (1923-2008)



წარმოშვებით ლეჩხუმი—ლაილაშიდან ბრძანდებოდა. განათლებით ისტორიკოსი გახლდათ. თითქმის ოცი წელი მსახურობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ფონდის ხელმძღვანელად რევოლუციის მუზეუმში და სტალინის მუზეუმში ბათუმში. შვილსაც კი სტალინის საპატივცემოთ იოსეფი დაარქვა. დღეს კი ის ვაჟი სახელოვანი და ნიჭიერი კომპოზიტორი ისრაელში – იოსეფ ბარდანაშვილია. სტალინის და რევოლუციის მუზეუმები, რომ დაიხურა, ქალბატონი სარა ბათუმის მანქანათმშენებლობის ქარხნის კადრების განყოფილების უფროსის თანაშემწეთ დაინიშნა. ნებისმიერი სირთულის დავალება ეწაფებოდა ხელთ. ორგანიზატორული ნიჭი, კომუნიკაბელობა, ხალხისადმი

გულისხმიერი დამოკიდებულება და დაუზოგავი ენერჯით მათ საკეთილდღეოდ ქმედება – ასე ახასიეთებენ ქ–ნ სარას ბათუმის კვიდრნი: „სარას გარეშე იმ პერიოდში ბათუმის ებრაელობაში არაფერი წყდებოდაო“, მისი მეუღლე ეზრა ბარდანაშვილი პროფესიონალური მხატვარი ბრძანდებოდა. მათ აღზარდეს სამი შესანიშნავი ვაჟი.

### პატარკაციშვილი თამარი (1923-2008)



თამარი დაიბადა ქალაქ ცხინვალში. ის უფროსი ქალიშვილი იყო ცხრა დამძის შორის. მამა ახალგაზრდა გარდაეცვალა. თამარი დედას ეხმარებოდა ოჯახის რჩენაში და პატარა დამძის ფეხზე დაყენებაში, ხოლო მოგვიანებით კი დედა რომ გარდაეცვალა თვითონ გაუძღვა ოჯახს უფროსი ძმების დახმარებით. ყველა დამძანს დაეხმარა ბედნიერი ოჯახის შექმნაში. მან დაამთავრა ებრაელთა საშუალო სკოლა, აბრამ ბინიაშვილთან ერთ კლასში სწავლობდა, მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და სიტყვა მისცეს რომ დაქორწინდებოდნენ. აბრამი ომიდან მხოლოდ 1947 წელს დაბრუნდა ცხინვალში. ახალგაზრდა ოჯახმა ორ ოთახიანი

ბინა მიიღო დასახლებაში, რომელიც „ღარიბ ებრაელთა კომიტეტმა“ მსოფლიო ებრაელთა ორგანიზაცია “Joint“- ის დაფინანსებით ააშენა. მოგვიანებით მათ საკუთარი სახლი ააშენეს, თამარმა დაუსწრებლად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი იურიდიული განხრით და მსახურობდა იურისტათ ქალაქის სანოტარიო განყოფილებაში. შემდგომ რამდენჯერმე თბილისში იქნა გაგზავნილი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მთელ ქალაქს იცნობდა, მასთან მოდიოდნენ რჩევა დარიგების სათხოვნელათ. ყველას დიდი ყურადღებით იღებდა და სათანადო რჩევას და პასუხს აძლევდა. მან ბევრი ნათესავი მოაწყო ცხინვალის უმაღლეს სასწავლებელში და ვინც სხვა ქალაქიდან იყო ჩამოსული მათ თავისთან ოჯახში აცხოვრებდა. თამარი არჩეული იყო სამხრეთ ოსეთის ოლქის დეპუტატათ. 80 წლებში, პენსიაში რომ გავიდა, ცხინვალის ტექსტილის ფაბრიკის დირექტორის მიწვევით ხუთი წელი იურისტკონსულტანტათ მუშაობდა. 90 წლებში ომიანობის დროს მან არა ერთი გმირული საქმე გააკეთა. ფესახის შემომავალ დღეებში ცხინვალში დარჩენილ ებრაელობას ვერანაირად ვერ მიაწოდეს მაცა. მიმდინარეობდა ბრძოლა ქართველ და ოს მეომრების შორის და ვერავინ ქალაქში ვერ შედიოდა. ქალბატონ თამარმა ჯარის მანქანის მეშვეობით,

მარტო მან, შესძლო თბილისში ჩასვლა და მაცის ჩატანა ცხინვალელებისთვის, რომ ფესახი დაეყენებინად. ომის დროს ცხინვალში დარჩნენ ებრაელები, რომელიც ვერ სტოვებთენ სახლკარს, ქონებას და იძულებული იყვნენ შიშის ქვეშ ეცხოვრათ. მიმოსვლა შეუძლებელი იყო. თამარმა მიმართა ამიერ კავკასიის მთავარ სარდალს გენერალ პატრიკვეს თხოვნით, რომ რუს ჯარს გამოეყო დიდი სატვირთო მანქანები, რომ ებრაელ ხალხს გაეტანათ ნივთები ცხინვალიდან და თავი გადაერჩინათ. თვითონ რამდენიმეჯერ შეხვდა კიდევ შტაბში გენერლებს და მათ საბოლოოდ მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, მაგრამ ამისათვის სათანადო თანხა მოითხოვეს, რაზეც ებრაელები დათანხმდნენ, ასე გამოვიდნენ ცხინვალში დარჩენილი ებრაელები და თავი დაახწიეს ომს. სამი შვილი გაზარდეს აბრამმა და თამარიმ. სამივემ უმაღლესი დაამთავრა ბორიამ-თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ინჟინერ-ტექნოლოგი, ემამ-ცხინვალის პედაგოგიური უნივერსიტეტი ქიმია-ბიოლოგიური განხრა და მუსიკალური სასწავლებელიც. არონმა თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა, ინჟინერი – მანქანადმშენებელი. 1993 წ. ისრაელში ამოვიდა ოჯახით და ქალაქ ბათ-იამში დასახლდა.

#### იდა ხვოლესი (1923-2004)



დაიბადა ქ.ცხინვალში. საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან, როგორც წარჩინებული სტუდენტი გადაიყვანეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1944 წელს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოქიმიის ფაკულტეტზე. სწავლების მეხუთე კურსიდან იძულებით მობილიზებული იქნა სამუშაოდ ჩელიაბინსკი-40 ში. იქ მდებარეობდა სპეციალიზირებული ლაბორატორია, რომელიც სამხედრო წარმოებით იყო ცნობილი. მისი სამუშაო გასაიდუმლებული გახლდათ. 1949 წელს, შერყეული ჯანმთელობის მიზეზით (სხეულის 90% დასხივება) განთავისუფლებული იყო სამსახურიდან. 50 წლებში თბილისის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში ქიმიის და რადიოქიმიის პედაგოგია. 1960-1990 წლებში ცხინვალში მოღვაწეობდა მასწავლებლად. ექვსჯერადად იყო არჩეული ცხინვალის ქალაქკომის დეპუტატად. 1992 წელს ისრაელში ამოვიდა თავის ვაჟთან ერთად. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. დღემდე მისი სამეცნიერო ნაშრომები ინახება რუსეთის ფედერაციის არქივებში გრიფით „სრულიად საიდუმლო“. ეს ბიოგრაფია თვალნათლივ მოწმობს, რომ ადამიანი კი ვერ საზღვრავდა თავის გზას და ბედს, არამედ დრო და ხელისუფლება კარნახობდა და განაგებდა მათ სვლას.

### თამარ ჯინჯიხაშვილი (1924-2012)



სახელოვანი რაბინების შვილიშვილი, მომე ჯინჯიხაშვილის და ესთერ კრიხელის უფროსი ქალიშვილი თამარი დაიბადა 1924 წელს. ოჯახში ძვირფას მაგალითზე იზრდებოდა და მისი ცხოვრების კრედილ იქცა – „სიკეთე სიკეთის წილ“. თამარი სამოცდაათიან წლებში ამოვიდა ისრაელში, რაც მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. მან რეპატრაციისათვის დამახასიათებელი სირთულეები იოლად გადალახა, რამეთუ ყველაფერს „ვარდისფერი სათვალით“ უცქერდა. სპეციალობით თამარი მეან-აკუშერი გახლდათ. მან ცამეტი წელი თელ-ავივის საავადმყოფოს მელოგინეთა განყოფილებაში იმუშავა და ყოველი ახალშობილი უხაროდა, მისთვის ეს „ისრაელის შვილის გამრავლება“ იყო. თამარმა მალე გაითქვა სახელი, როგორც საქმის

ერთგულმა სპეციალისტმა, რისთვისაც განყოფილების მთავარ ექთნად დააწინაურეს და მთავრობის ჯილდოებიც მიიღო. მის მყუდრო ბინაში ერთი პატარა კუთხე მისთვის მეტად მნიშვნელოვან ნივთს ეჭირა. ეს გახლდათ „კუფა“, სადაც ყოველდღიურად ჩაშვებული ფულით საკმაოდ სოლიდური თანხა შესწირა ბათ-იამის, მოლივერის ქუჩაზე მდებარე მორწმუნე გოგონათა სემინარიის მშენებლობას. გარდა ამისა, მის ბინას შინაურები ხუმრობით „მინი მისრად კლიტას“ უწოდებდნენ. მრავალი ახალამოსული შეიკედლა, დააკვლიანა და მორალურად გაამხნევა. ქალბატონმა თამარმა სამი საამაყო შვილი აღზარდა. აბრამ კრიხელი – ცნობილი ექიმი, მისი მადლიერი პაციენტები ხშირად დედას ურეკავდნენ და მადლობას უხდიდნენ ასეთი გულისხმიერი შვილის აღზრდისათვის. ლია კრიხელი – ივრითის მასწავლებელი, ახალ რეპატრიანტებს პირველი და უმთავრესი ამოცანის გადაჭრას, ენის დაუფლებას უადვილებს. ნატალი რიჟინაშვილი, თსუ კურსდამთავრებულია და წლების განმავლობაში ემსახურება თაობათა აღზრდისა და განათლების საქმეს – ინგლისური ენა და ლიტერატურის სწავლების კოორდინატორია ტიხონში.

### მირა ფიჩხაძე (1926-1991)



„ყველაფერი უნდა მოასწროთ“ - გვასწავლიდა ცნობილი მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საკავშირო კომპოზიტორთა და თეატრალური საზოგადოების წევრი, მრავალი შრომის ავტორი მუსიკაში, ქართული მუსიკის ისტორიის თეორიის მასწავლებელი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში - მირა ფიჩხაძე!

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, სათავეში ჩაუდგა საქართველოს ებრაელთა მუზეუმის ფოლკლორის კაბინეტს. ყველაფერს, რასაც კი ხელს შეავლებდა, ასრულებდა უმაღლესი პასუხისმგებლობით, ისწრაფოდა სრულყოფისაკენ.

მისი პიროვნება გამოირჩეოდა სიტყვის ოსტატობით, ყველაფერზე საკუთარი აზრი გააჩნდა – ამინდზე, ოჯახზე, მეგობრობაზე, სულიერ ფასეულობაზე, აღზრდა-განათლებაზე, მუსიკაზე განსჯაში კატეგორიულობით, მაღალი პრინციპულობით გამოირჩეოდა.

მირა გაიზარდა ტრადიციულ ებრაულ ოჯახში, სადაც თორის სიყვარულს და იერუშალაიმისაკენ სწრაფვას აფასებდნენ. მან აღზარდა ღირსეული გაყვიშვილი – შალვა, რომელიც ეღუარდ შევარდნაძის მრჩეველი ბრძანდებოდა.

### რივა წითლიშვილი (1926-1975)



რივა წითლიშვილი დაიბადა ქ.თბილისში მშრომელი ებრაელის ოჯახში. ბავშვობა და ახალგაზრდობის წლები თბილისშივე გაატარა. 67-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, რივა უმაღლესი განათლების მისაღებად ოსსუ ისტორიის ფაკულტეტზე მოეწყო. პარალელურად მუშაობდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მისი დირექტორის, აწ განსვენებული ამაგდარი მკვლევრის-პროფ. არონ კრიხელის ხელმძღვანელობით. რივა წითლიშვილის წარმატებითი მუშაობისა და კვლევის შედეგს წარმოადგენს ნარკვევი – „ბავშვის დაბადება, აღზრდა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ძველად საქართველოს ებრაელებში“.

რივა წითლიშვილის ეროვნული მრწამსის საბოლოო ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა ახლო ურთიერთობამ, დიდი რაბი დავით ბააზოვის ოჯახის წევრებთან, კერძოდ კი- განსვენებულ მეირ ბააზოვთან. მეირი რივაში ხედავდა უმწიკვლო, ეროვნული სულის მქონე ადამიანს, ნაციონალური კულტურის უანგარო, სპეტაკ მოღვაწეს! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რივა წითლიშვილი შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის 39ე საშუალო სკოლაში.

„ძნელად თუ მოიძებნებოდა იმ პერიოდის საქართველოს ებრაელ ახალგაზრდა ქალებს შორის ისეთი განათლებული და ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენტი, რომლის ცხოვრების შინაარსს და სწრაფვას წინაპართა მიწაზე ამოსვლა შეადგენდა. მაგრამ როგორც ბევრ ჩვენი ერის რჩეულს, მასაც განგებამ ნაადრევად დიასპორაში დაღუპვის ხვედრი არგუნა“ - წერს მისი ერთგული მეგობარი ქალი და კოლეგა პოლინა ბააზოვა თავის წერილში, რომელიც რივა წითლიშვილის ხსოვნას ეძღვნება (გაზეთი „იმედი“, 1978, 30-7, 75. გვ.2).

აღსანიშნავია, რომ შესანიშნავი ისტორიული კვლევის აღდგომის მქონე ადამიანს, რივა წითლიშვილს, მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით აქვს დამუშავებული სათანადო საკითხები. მას ჩაუტარებია საფუძვლიანი საველე მოსამზადებელი მუშაობა შესაბამისი ცნობებისა და მასალების შეგროვების მიზნით, იყენებს არსებულ ლიტერატურულ სამეცნიერო წყაროებს, წარმოადგენს იშვიათ ენობრივ ფოლკლორისტულ ტექსტებსა და ჩანაწერებს საქართველოს ებრაელთა ძირითადი სამოსახლო რაიონებიდან (ახალციხე, იმერეთი, რაჭა), რითაც საგრძნობლად ავსებს საქართველოს ებრაელთა ეთნოგრაფიული წარსულის შესწავლის სფეროში არსებულ ხარვეზს.



### რუთი თავდიდიშვილი (1926-1979)



დაიბადა ქ.ქუთაისში მოსამსახურის ოჯახში. მამა—იეკუთიელ თავდიდიშვილი რკინის ხელოსანი იყო. დედა—მირიამ ბათ-მოშე (მოშიაშვილი) დიასახლისი. ყავდა ორი ძმა, ერთ-ერთი მათგანი—მაისე თავდიდიშვილი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში ვოლხოვის მისადგომებთან 21 წლის ასაკში 1942 წელს. რუთიმ 1942 წელს დაამთავრა ქუთაისის მეორე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და უცხო ენის ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა ქუთაისის საფერშლო სასწავლებელში. რომელიც 1944 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში ცნობილი სამხედრო ქირურგის — პოლუმორდვინოვის ასისტენტად. 1946 წლის ივნისის თვიდან მიიწვიეს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში მსახიობად, სადაც გარდაცვალებამდე იმუშავა. შეასრულა 100 მეტი როლი. ამ ქალბატონის ბიოგრაფია არის დასტური იმისა, თუ რამდენად ისწრაფოდენ სრულყოფისათვის, ეძიებდენ სიახლეს და მრავალმხრივად იყვნენ განვითარებულები იმ დროში მანდილოსნები.

### მირიამ ბათ მოშე (1930-2008)



დაიბადა ქ.თბილისში. მამა - აკივა მოშე ოფლი, დედა - რახილ შათაშვილი. მირიამი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი გახლდათ. ერთ წუთში შეწყდა ბედნიერი, უმწიკლო ბავშვობა. 1949 წელს ოჯახს გადასახლება, ციმბირი, ტომსკის ოლქი და ტაიგა ხვდა წილად. ომმა 2 ძმა იმსხვერპლა, მამა ჯავრს გადაყვა. თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, დირექტორი აკაკი ხორავას მეთაურობით აღშფოთებული იყვნენ, ლავრენტი ბერიასაც კი მიმართეს, მაგრამ როგორც „ხალხის მტრები“ ვერ აცდენ გაწამებულ ხუთწლიან გადასახლებას. 1953 წელი - რეაბილიტაცია, ისევ

ინსტიტუტი - სადიპლომო ნაშრომის ბრწყინვალედ დაცვა. 1971 წელს აღთქმული მიწის ძახილმა მირიამ ბათ მოშე-კიზი ისრაელში ამოიყვანა. მეექვსე დღესვე რადიო „კოლ ისრაელის“ რედაქციაში მიიწვიეს პირველ დიქტორ-მიმომხილველად. თეატრმცოდნე, უზადო ჟურნალისტიკის ნიჭით დაჯილდოებული, 25 წელი მიკროფონს უჯდა და მსოფლიოს ქართულენოვან მრევლს აუწყებდა ისრაელის მაჯისცემას, კეთილდღეობას და ავკარგიანობას. გულახდილი, სიკეთით გაჯერებული, კეთილმოსურნე, სიცოცხლის და ხალხის განსახიერება - მას უნდა უმაღლოდეს არაერთი ოჯახი, რომელიც დღეს აქ, ისრაელში აღზევებული, პატივმოსილი და წარმატებულია.

პარალელურად, დღიდან დაარსებისა ჟურნალ „დროშა“ ში თანამშრომლობდა, ორი წლის განმავლობაში რედაქტორად. მირიამის ყოველი წერილი, ინტერვიუ, ნარკვევი, წიგნის წინასიტყვაობა, რადიოთი გამოსვლა მხატვრულ ბილეთრისტიკამდის იყო ამაღლებული. თვით მირიამი კი, ისწრაფოდა რა სრულყოფისაკენ, მუდამ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, თვლიდა, რომ უკეთესად შეეძლო და მეტის თქმა სურდა. განსწავლული, ინტელიგენტი, სიტყვა-პასუხით დაჯილდოებული, თითქმის ნახევარი მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი. მისი კრედო – სიმართლეა. მას მიენიჯა საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო დოქტორის წოდება.

### მარიამ ბინიაშვილი (1931-1990)



დაიბადა ქალაქ სტალინში (ახლანდელი ცხინვალი). 1937 წელს ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. მარიამ ბინიაშვილმა 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ქალთა მეორე საშუალო სკოლა. 1956 წელს კი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო რადიოკომიტეტის მთარგმნელთა განყოფილებაში. რამდენიმე თვეში, ძალების მოსინჯვა, ჟურნალისტიკაშიც შესთავაზეს და წარმატებით მომზადებული სიუჟეტების შემდეგ რადიოს საინფორმაციო პროგრამების რედაქციაში, გამომშვები რედაქტორის თანამდებობაზე გადაიყვანეს. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოში ტელემუწყობლობა პირველ ნაბიჯებს დგამდა. რადიოს დიქტორების ქასთინგზე პასუხისმგებელ რედაქტორად მარიამ ბინიაშვილი დანიშნეს. ასე რომ, მილიონობით ადამიანისთვის მოგვიანებით უკვე ცნობადი და საყვარელი დიქტორების შერჩევაში, იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა. რადიოკომიტეტში საკმაოდ დატვირთული საქმიანობის პარალელურად, მარიამი რუსულიდან და სომხურიდან წიგნების ქართულ ენაზე თარგმნას განაგრძობდა. 1958 წელს სომხურიდან ქართულად თარგმნა ასლანიანისა და მანველიანის ნაწარმოებები. 1960 წელს დერენიკ დემირჭიანის ისტორიული რომანი „ვარდანანქი“, რომელშიც აღწერილია სომხეთის ეროვნული გმირის ვარდენ მამიკონიანის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება. ამ თარგმანს განსაკუთრებული აღიარება ხვდა წილად. კონსატანტინე გამსახურდიამ თავის რეცენზიაში ორტომეულს მაღალი შეფასება მისცა და ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად აღიარა. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, მარიამ ბინიაშვილის მიერ ნათარგმნი „ვარდანანქი“, ქართულ ენაზე თარგმნილ 100 საუკეთესო წიგნს შორის, დღემდე ღირსეულ ადგილს იკავებს. მარიამის თარგმანებიდან, ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უგლოვის წიგნი „ქირურგის გული“, რომელიც ქართულ ენაზე რუსულიდანაა ნათარგმნი. აღსანიშნავია, რომ მარიამ ბინიაშვილი საერთო ჯამში 14 წიგნისა და 400-ზე მეტი სტატიის ავტორია. საქტელერადიოკომიტეტის შექმნის პირველი დღეებიდან მარიამ ბინიაშვილი სხვადასხვა რედაქციებში - რედაქტორის, მთავარი რედაქტორისა და საქტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობებზე მუშაობდა. მის მიერ მომზადებული გადაცემების უმრავლესობა დაცულია საქართველოს ტელევიზიის ოქროს ფონდში. 1968 წელს მარიამ ბინიაშვილი დაქორწინდა გაბრიელ იოსებაშვილზე. მარიამის მეუღლე თეატრის რეჟისორი იყო. შემოქმედთა ოჯახს 1970 წელს ვაჟი - იოსები შეეძინა. შერყეული ჯანმთელობის მიუხედავად მარიამ ბინიაშვილი, ახლობლებისა და თანამშრომლებისთვის ყოველთვის იყო ერთგულების, პასუხისმგებლობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა

და ულევნი ინტელექტის ეტალონი. მთარგმნელი და ჟურნალისტი მარიამ ბინიაშვილი – მისთვის დამახასიათებელი იყო რუდუნება. ეძიებდა სიტყვას, რომელიც მოცემულ მომენტში ყველაზე ოპტიმალური იყო, ოპერატიულობით გამოირჩეოდა. მარიამი გარდაიცვალა 1990 წლის 5 თებერვალს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ.

### მალქა ბათ ევრაიმი (1932-2016)



დაიბადა ქ.ქუთაისში მორწმუნე ებრაელთა ოჯახში, სადაც ხუთი და–ძმანი იმდენად ნიჭიერი, კეთილი და გამრჯე იზრდებოდნენ, რომ იმ რთულ და გაჭირვებულ პერიოდში, ყველა უმაღლესი განათლებით ბრძანდებოდნენ: სწავლას ოქროს მედლით და წითელი დიპლომით ასრულებდნენ. პირადადად, მალქამ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და მის მიერ წარდგენილი რეფერატები ყოველთვის უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა, 1972 წელს, ისრაელში ალიის დაწყებისთანავე, უანგარო პატრიოტები ამოვიდნენ ოჯახთან ერთად სამშობლოში. ქალბატონი მალქა მიიწვიეს ისრაელის რადიომაუწყებლობის ქართულ განყოფილებაში, შემდგომში მას მინიჭებული ჰქონდა პასუხისმგებელი რედაქტორის სტატუსი. მისთვის

დამახასიათებელი იყო დაკისრებული საქმისადმი ერთგულება, უანგარო, ობიექტური, უშურველი სამსახური ქვეყნისადმი, ხალხისადმი, მომავალი თაობისადმი. მას ათი წლის განმავლობაში მიჰყავდა სპეციალური პროგრამა „ახალი რეპატრიანტებისათვის“, აწვდიდა საჭირო ინფორმაციას მათი აბსორბციისა და ინტეგრაციის შესახებ. რადიოში მუშაობა–შემოქმედებაა. ინტერვიუ, რეპორტაჟი, კომენტარი, უკანასკნელი ამბები... კომენტარებში ცდილობდა ზუსტად გაანალიზებინა ყველაზე საჭირო, საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობა. რეპორტაჟებში – მოკლედ, ლაკონურად გადმოცემა ამა თუ იმ მოვლენისა თუ პიროვნების პატივსაცემად მოწყობილი ღონისძიებანი. ინტერვიუში – წარმოეჩინა ჩვენი თემის ღირსეულ შვილთა ცხოვრებასთან დაკავშირებული მთავარი მომენტები, მათი პრობლემები და წარმატებები. 1973 წელს მიიწვიეს ისრაელის განათლების სამინისტროს ცენტრალური საოლქო განყოფილების საგამოცდო კომისიაში, სადაც 1982 წლამდე ემსახურებოდა საშუალო სკოლის გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა გამომცდელად ქართულ ენასა და ლიტერატურაში, როდესაც ამ საგანს აბარებდნენ საქართველოდან ამოსულები სიმწიფის ატესტატისათვის ერთ–ერთი უცხო ენის ნაცვლად.


გაწონასწორებული, თავდაბალი და ღირსეული ქალბატონი მალქა ამხანაგების და მეგობრების წრეში მუდამ მიღებული და სასურველი ბრძანდებოდა, ემსახურებოდა მშვიდობას ყველგან და ყველასთან. მალქას ერთადერთი ქალიშვილი ინგა კოჟიაშვილი (კოჟი) თელ–ავივის მუნიციპალიტეტის საინჟინრო–საპროექტო განყოფილებაში პროგრამისტად მუშაობს, ჰყავს სანაქებო მეუღლე, ძვირფასი შვილები და შვილიშვილები.

### სიმა თავდიდიშვილი–ჩიკვაშვილი (1932-2012)



დაიბადა ქ.ქუთაისში. წარჩინებით დაამთავრა ყოფილი ქალთა პირველი სკოლა და წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი უცხო ენათა ფაკულტეტი გერმანული ენის განხრით. ინსტიტუტის წითელ დიპლომზე დამთავრებისთანავე (1954 წ) შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას თავდაპირველად ქალაქიდან დაშორებულ რიონჰესის დასახლებაში. ჩაება სასკოლო ცხოვრებაში: მოირგო ლოტბარის, ქორეოგრაფის, სცენარისტის თუ რეჟისორის მანტია. ეს მისი პირველი გამარჯვება იყო – მისი მოსწავლეები ტელევიზიით მთელმა ქვეყანამ იხილა. შემდეგ დაიწყო 35 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა მე–19 სკოლაში, მას მოჰყვა წმინდა ნინოს მესამე კლასიკური გიმნაზია, ქალაქის გერმანული ენის მეთოდსაბჭოს ხელმძღვანელობა, 25 წლის განმავლობაში იყო ქალაქის გერმანული ენის მასწავლებელთა სექციის უცვლელი ხელმძღვანელი. მის ხელში დაოსტატდა 150-ზე მეტი პედაგოგი. ცნობილ გერმანისტსა და დოქტორს, მთელ საქართველოში იცნობდნენ. ვინ მოთვლის რამდენმა ახალგაზრდამ გაიარა მის ხელში, რამდენს გაუხსნა და უჩვენა ცხოვრების გზა. მის მიერ დაკვლიანებული დღეს მრავლად შეხვდებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას: „გელათი“, „ბაგრატი“, „გეგუთი“ და ა.შ. როგორც ქალაქის დეპუტატს არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაშიც უთქვამს საკუთარი სიტყვა. 2004 წელს ისრაელში ამოვიდა ოჯახით.

#### თამარ მამისთვალოვი - კეზერაშვილი (1932-2019)



თამარი დაიბადა ცხინვალში ცნობილი რაბი იცხაკ მამისთვალოვისა და სარა ბააზოვის ოჯახში. იცხაკ მამისთვალოვი ბრძანდებოდა სასულიერო პირი, განმანათლებელი, ებრაული ენის მასწავლებელი, სულიერი მოძღვარი, მეფე დავიდის ფსალმუნების მთარგმნელი. 1951 წელს თამარი ოქროს მედალზე ამთავრებს ცხინვალის მე–4 საშუალო სკოლას. მე–8 კლასის მოსწავლემ, რაკი გამოირჩეოდა ნიჭიერებით, „საბჭოთა აფხაზეთი“ ის ფურცლებზე აქვეყნებდა საინტერესო სტატიებს. 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული გახლდათ. 15 წელი მოღვაწეობდა, როგორც მწერალი და ჟურნალისტი რესპუბლიკის და რეგიონალურ გამოცემებში, აქვეყნებდა მოთხრობებს, ჩანახატებს. სოხუმში გამოსცა მოთხრობების პირველი კრებული. 1973 წლიდან საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრია. 1961-1975 წლებში იყო მისი ძმის, აბრამ მამისთვალოვის მიერ დაარსებული საქართველოს იატაკქვეშა სიონისტური ორგანიზაციის აფხაზეთის ფილიალის ხელმძღვანელი. მისმა მოღვაწეობამ აბრამ მამისთვალოვთან და გერმონ წიწუაშვილთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა საქართველოდან ალიის დაწყების საქმეში. 1970 წლიდან გახლდათ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საკუთარი კორესპონდენტი აფხაზეთის ზონაში.

1976 წელს ოჯახით ამოვიდა ისრაელში. 1979 წელს იწყებს მუშაობას რადიო „კოლ ისრაელ“ ის ქართულენოვან გადაცემათა განყოფილებაში და 1982 წლიდან ხელმძღვანელად. 1982 წელს

გამოიცა დოკუმენტური მოთხოვნა „ამბავი შალვა ბებერაშვილისა“, რომელიც ავტორმა სამშობლოს სამსხვერპლოზე სიცოცხლე მიტანილი ჭაბუკს მიუძღვნა ჰიმნად. ამ მოთხოვნამ 1990 წელს ჟურნალ „დროშის“ მიერ გამართულ კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა. 1987 წელს თელ-ავივში გამოიცა თამარის მოთხოვნებისა და ნოველების კრებული „მოლოდინი“, რომელიც მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო და სამჯერ იქნა ტირაჟირებული. 1991 წელს თამარი მივლინებული იყო თბილისში მსოფლიო ებრაული სააგენტოს მიერ. 1997 წელს სოხნუთის მედლითა და საპატიო სიგელით იქნა დაჯილდოებული „სიონისტური იდეების განვითარებისა და ისრაელის სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის“. 1998 წელს ტელ-ავივში ჟურნალისტთა კავშირის ინიციატივით გაიმართა მამისთვალთვების ოჯახისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო: ნეტარხსენებულ იცხაკ მამისთვალთვის - 100 წლისთავი, დაბადებიდან აბრამ მამისთვალთვის 75 წელი და თამარის 65 წელი. ქალბატონმა თამარმა თავის ძმასთან - აბრამ მამისთვალთვთან და აღმოსავლეთმცოდნე გერშონ ბენ ორენტან (წიწუაშვილი) ერთად ივრითიდან ქართულად თარგმნა მოშეს ხუთწიგნეული - თორა. ამ თარგმანის მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციამ მთარგმნელები წარადგინა მაჩაბელის სახელობის პრემიაზე. თამარმა ივრითიდან ქართულად თარგმნა ოცამდე წიგნი, მათ შორის ისრაელი იუმორისტის ეფრაიმ კიშონის მოთხოვნები და ნობელის პრემიის ლაურეატის - შაი აგნონის რჩეული ნაწარმოებები.

მთარგმნელობითი და მრავალწლიანი მოღვაწეობის ისრაელის რადიომაუწყებლობაში, ქალბატონი თამარი აქტიურად ჩართულია საზოგადოებრივ საქმიანობაში. გახლდათ საბჭოთა კავშირიდან გამოსულთა გაერთიანების ქართული სექციის თავმჯდომარე, ისრაელის მწერალთა, ჟურნალისტთა კავშირისა და ჟურნალისტთა მსოფლიო ფედერაციის წევრი, სრულიად ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (მეხუთე კადენცია). 1998 წლიდან - საქართველოდან ამოსულთა და გამოსულთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალურ მდივნად დაინიშნა. ქალბატონი თამარი ბრძანდებოდა ქართველ ებრაელ ქალთა მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარე. 2002 წელს მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ციონი“. ამავე წელს დაჯილდოებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის მედლით „ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“.

2003 წლის 14-17 ივნისს თამარი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა ეროვნული კავშირის მიწვევით. 14 ივნისს თბილისის შ.პ.ს. ინტერბიზნესის სამედიცინო ინსტიტუტს საზეიმო ვითარებაში მიენიჭა თამარ მამისთვალთვ-კეზერაშვილის სახელი იმის გამო, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ ინსტიტუტის დაარსების საქმეში. 15 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა პრეზენტაცია თამარის მიერ თარგმნილი და ბილინგვური წესით გამოცემული წმიდა წიგნებისა (‘შელომო ამელების რჩევა-დარიგებანი, ‘კოჰელეთი, ‘ნეხემია, ‘დანიელი~). თამარისეულმა თარგმანმა ამჯერადაც მაღალი შეფასება დაიმსახურა მსოფლო სახელის მქონე ბიბლიოლოგი-სპეციალისტების მხრიდან.

2003 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რომლის თანათავმჯდომარე გახლდათ და ჟურნალ „ერთობა“ს რედაქტორი. 2003 წლის 25-27 დეკემბერს თამარის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო

კონგრესმა თელ-ავივის ჟურნალისტთა სახლში, პირველად ისრაელში, გამართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში“, რომელზედაც 15 სხვადასხვა მოხსენება იქნა წარმოდგენილი და მაღალ დონეზე ჩატარდა. 2004 წლის ივნისში, საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით თამარ მამისთვალოვს მიენიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება.

2005 წლის ბოლოს თამარ კუერაშვილი ოფიციალურად იყო მიწვეული ნიუ-იორკში 10 დღით, საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ ლექციების ციკლის წასაკითხად. 2010 წლის 21 სექტემბერს თამარს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის (ყოფილი სტალინის სახელობის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.


### რივა კრუპნიკი (1933-2011)



დაიბადა ქ.ბათუმში. რივა ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს ებრაელთა მასობრივი ალიისაციის ბრძოლაში: ავრცელებდა სიონისტურ ლიტერატურას, კავშირს ამყარებდა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში მოქმედ იატაკქვეშა ჯგუფებთან, ხელს უწყობდა ებრაული ენის შემსწავლელი არალეგალური ჯგუფების ჩამოყალიბებას. მუშაობდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თანამშრომლობდა თბილისში და საკავშირო მასშტაბით გამომავალ რუსულენოვან პრესაში, თარგმნიდა

ლიტერატურას იდიშიდან, აგროვებდა ებრაულ ფოლკლორს. 1987 წელს რივა კრუპნიკმა შექმნა ებრაული წიგნის მოყვარულთა კლუბი „სეფერ“. ამ კლუბის ჩარჩოებში საზოგადოების წინაშე გამოდიოდნენ ებრაელი მწერლები, უჩვენებდნენ ისრაელის ფილმებს, ისმოდა მართალი სიტყვა ისრაელზე. 1990 წლიდან აყალიბებს ებრაელ ქალთა პირველ ორგანიზაციას „მირიამი“ და ინიშნება მის პრეზიდენტად. აყალიბებს ებრაულ საკვირაო სკოლას და მისი დირექტორია, რომელიც კულტურულ ცენტრად იქცა. მანვე უხელმძღვანელა საქველმოქმედო ორგანიზაცია „რახამიმ“ის ჩამოყალიბებას. ქალბოტონი რივა სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის „სიმხა 98“ და „სიმხა 99“ ფუნქციონირებას. ის ხელმძღვანელობდა ფრიად საპასუხისმგებლო პროექტს „ხესედ ელიაჰუ“. რივა კრუპნიკმა სტივენ სპილბერგისაგან, თანამედროვეების ერთ-ერთი დიდი კინორეჟისორისაგან, მიიღო გულითადი მადლობის წერილი მის მიერ ჩატარებული „შოა“ს კატასტროფასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის მოძიების გამო.

### მირიამ მიხელაშვილი (1934-1989)



დაიბადა სენაკში. სკოლა ვერცხლის მედლით დაამთავრა. 1951 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, შემდეგ სწავლა განაგრძო მართვის ავტომატიზირებული სისტემების და პროგრამირების მიმართულებით. სამუშაოდ გაანაწილეს თბილისის ავტომატიზირებული სისტემების და პროგრამირების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად მსახურობდა პროგრამისტ-ინჟინერის თანამდებობაზე. იმ პერიოდში გამოყენებითი ინფორმატიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები ახალი დარგი იყო და მის მიერ განვლილი გზა პიონერული და საკმაოდ ეკლიანი გახლდათ.

თბილისში მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრა 1971 წელს შეიქმნა. მირიამს დიდი წვლილი მიუძღვის ამ დარგში ახალი თაობის აღზრდაში. მაღალი კვალიფიკაციის გამო 1972 წელს გადაიყვანეს ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ცენტრში ლოგიკური და ლინგვისტური მოდელირების დარგში სამუშაოდ. ევროპაში 70 წლიდან იხმარება ტერმინი „ინფორმატიკა“ და საქართველოში ამ პერიოდში მირიამ მიხელაშვილი უდგა სათავეში ამ ავანგარდულ და ნოვატორულ მეცნიერებას **“Computer Science and Information Systems”**. 1985 წელს არჩეული იქნა ინფორმატიკის განყოფილების მართვის ავტომატიზირებული სისტემებისა და პროგრამირების ცენტრის დირექტორად. უთავსებდა პრაქტიკულ, კვლევით და საგანმანათლებლო მუშაობას ინფორმატიკის დარგში.

### ლილი ბატაში (1935-2017)



ლილი ბატაში დაიბადა და გაიზარდა მესხეთში. ქ.ახალციხეში. გონიერი, სიცოცხლით, ხალისით სავსე, მხიარული და დაუზარელი ოთხი წლისა იყო, როდესაც დაობლდა. მამა მეორე სამამულო ომმა იმსხვერპლა. ლილი წარჩინებით ამთავრებს ახალციხის პირველ საშუალო სკოლას და პედაგოგიურ სასწავლებელს. გათხოვდა 1955 წელს და სამი შვილით ამოვიდა ისრაელში 1978 წელს. ჩამოსვლისთანავე ოჯახის ცხოვრება სულ სხვა გზით წარიმართა. ულფანის დამთავრების შემდეგ კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე დადის და ერთ წელიწადში სამსახურს იწყებს „მას-ახნასის“ (ფინგანის) დამხმარე ინსპექტორად, პარალელურად საბუღალტრო კურსებსაც ითვისებს.

ოჯახი ცამეტი წელი ნეთანიაში ცხოვრობდა, სადაც ლილის მეუღლე ბატონი სიმონი სათავეში ჩაუდგა ხუროთმოძღვრული ტაძრის, უფლის ადგილსამყოფელისა და ქართულენოვანი მრევლისათვის სალოცავის მშენებლობას. 1993 წელს ბათ-იამში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. ლილი საქართველოდან ამოსულთა საერთაშორისო ცენტრის საბჭოს და ამავე ცენტრთან არსებული ქალთა კომიტეტის წევრი გახლდათ, ჟურნალ „დროშა“ს აქტივისტი, ხაზინადარი, ტურიზმისა და დასვენების განყოფილების გამგე. ჩამოსვლისთანავე, ახლად ამოსული რეპატრიანტები აზიარო შენი ქვეყნის სილამაზეს, წმინდათაწმინდა ღირსშესანიშნაობებს, დაატკბო მათი სიტურფით, აღჭურვო პატივისცემით და მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვით ყველა იმ სიკეთისადმი, რაც სულიერად და

მორალურად ასპეტაკებს, აკეთილშობილებს ადამიანს და სიამაყის გრძნობით ავსებს – ეს ჰქონდა მიზნად დასახული ქალბატონ ლილის.

ბატაშის ოჯახში სამი სახელოვანი შვილი აღიზარდა. დოქტორი დავით ბატაში „საფაროფე“ს პედიატრიის განყოფილების გამგეა, თელავის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ლექტორი. ქალიშვილი ნანა – სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული, მსახურობს საავადმყოფოში უფროს ექთნად. მესამე შვილი – კობასტომატოლოგია. სამივე დაოჯახებულია და ისრაელის სამსახურში არიან ჩართული.

### თინა კრიხელი (1935-1997)



თინა სეფიაშვილი-კრიხელი დაიბადა ქ.თბილისში. პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისურ-ფრანგული ენის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, მოღვაწეობას იწყებს 67-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლად და შემდეგში მშობელთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ისრაელში ამოვიდა 1972 წლის ნოემბერში და ულფანის დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს ისრაელის შრომის პარტიის ცენტრალურ აპარატში ჯერ საქართველოდან, შემდეგ კი, საბჭოთა კავშირიდან გამოსულ ოლიმთა აბსორბციის განყოფილების უფროსად.

თინა ზრუნავდა ახალი ოლიმების უმტკივნეულო აბსორბციისათვის, ეხმარებოდა ულფანებში მოწყობაში და სამუშაო ადგილის მოძებნაში, საბინაო პრობლემების გადაჭრაში! ახალი ოლიმების ქვედანასთან შეგუებასა და გასაცნობად-იგი აწყობდა ექსკურსიებს კიბუცებში, მოშავებში, ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცენტრში. ზრუნავდა გალუთის ქვეყნებიდან ჩამოსული თემების მიერ ჩამოტანილი ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაციისათვის.

თინა იყო ყველა საკითხში უანგარო. არასდროს არ ლაპარაკობდა მის მიერ გაკეთებულ საქმეებზე. ცდილობდა ყოველთვის ჩრდილში ყოფნას და არასდროს აფიშირებას არ უკეთებდა მის მიერ სასიკეთო და ადამიანთა საკეთილდღეოდ გაკეთებულ საქმეებს. თინას სახით, თემს გააჩნდა კულისებს მიღმა ქომაგი.

23 წელი იმსახურა თინა კრიხელმა შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. 4-ნ კრიხელს, მთელი ამ ხნის მანძილზე მუშაობა უხდებოდა ქვეყნისა და პარტიის ისეთ ლიდერებთან, როგორებიც იყვნენ: გოლდა მეირი, მოშე დაიანი, იგალ ალონი, მათილდა ჰესი, უზი ნარკისი, უზი ბარამი, ხაიმ ბარლევე, შიმონ ფერესი, იცხაკ რაბინი, ეჭუდ ბარაკი და მრავალი სხვა. განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობდა მისი ოჯახსა და განსვენებულ იცხაკ რაბინს შორის.

თინა თავისი ფასეულობებით დააკლდება მის საყვარელ თემს, მისი სახელი დავიწყებას არასდროს არ მიეცემა.

### რახელ აბაჯანოვი (1937-2006)





დაიბადა შეძლებულ, განათლებულ და ტრადიციულ რელიგიურ ოჯახში. რახელის მამამ, მოშე-ხაიმ აბაჯანოვმა გიმნაზია დამთავრებულმა, ბავშვობიდან ღრმა რელიგიური განათლება მიიღო, მრავალ ენას ფლობდა. მოშე-ხაიმი ახალციხელთა დიდი სალოცავის გაბაი ბრძანდებოდა 1944-1953 წლებში. მოსკოვში შეთითხნილი „ექიმთა საქმე“-სთან დაკავშირებული რეპრესიების დროს, როცა დააპატიმრეს ებრაული თემის თავკაცნი, მათ შორის დაპატიმრებული იქნა მოშე-ხაიმიც. მხოლოდ სტალინის სიკვდილმა გადაარჩინა მოშე-ხაიმი გადასახლებას ან დახვერტას. რახელმა დაამთავრა 42-ე ქალთა სკოლა და მუსიკალური სასწავლებელი ფორტეპიანოს განხრით. წარმატებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-

მათემატიკის ფაკულტეტი. რახელი გათხოვდა, მისი მეუღლე შალოლაშვილი გაბრიელი დაავადდა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 47 წლის ასაკში. რახელი დარჩა მარტო ორ ვაჟთან ერთად 12 წლის ისაკთან (ზაზა) და 9 წლის ბეცალელთან (ბესიკი). ოჯახის სარჩენად რახელმა მუშაობა დაიწყო რესპუბლიკური საავადმყოფოს გამოთვლით ცენტრში უფროს პროგრამისტად. რახელის ორივე ვაჟმა დაამთავრეს 42ე საშუალო მათემატიკური სკოლა. ზაზამ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო უნივერსიტეტში მექანიკა მათემატიკის ფაკულტეტზე ასტრო-ფიზიკის განხრით. ბესიკი სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი იყო. 1980 წელს ზაზამ დაიწყო სიონისტური მოძრაობის შექმნა ახალგაზრდა ქართველ ებრაელთა წიაღში, აქ მას მისი ძმაც ბესიკი შეუერთდა. ამგვარად რახელის ოჯახი გადაიქცა თბილისში ახალგაზრდა სიონისტთა შეკრების ცენტრად. მათ დაქირავებული ჰქონდათ ორი ბინა: ერთი რომელშიც ივრითის შესწავლის ულპანი ჰქონდათ, ხოლო მეორეში იბეჭდებოდა არალეგალური სიონისტური ლიტერატურა. იმ პერიოდში ზაზამ თარგმნა ქართულად ზეევ ჟაბოტისკის სტატიები ქართულ ენაზე, რომელიც შემდგომ გამოიცა არალეგალური სახით. ამასთან ერთად გადამრავლებული იქნა დიდი რაოდენობით სიონისტური ლიტერატურა, რომლის ნაწილიც რუსეთიდან ჩამოჰქონდათ იქაურ აქტივისტებს და ნაწილი კი ჩუმად გადასცა ნისან ბაბალიკაშვილმა ზაზას. რახელის სახლი ისმინებოდა, სახლის ახლოს მუდმივად პატრულირებდენ უშიშროების კომიტეტის მანქანები. 1985 წელს რახელის ოჯახმა უარი მიიღო ისრაელში წასვლაზე, აქედან დაიწყო ძმების პოლიტიკური ბრძოლა. რახელის ოჯახის ისტორიას აშუქდნენ მსოფლიოში სხვადასხვა ებრაული ფორუმებზე, მათთან მუდმივ კავშირში იმყოფებოდა ისრაელის მოსადის ქვედანაყოფი „ნატივი“, რომელსაც ევალეზოდა საბჭოთა კავშირში სიონისტებთან კავშირი. უშიშროების კომიტეტი საპასუხოდ თვალთვალიდან რეპრესიებზე გადავიდა: დაშინება, დაპატიმრება, ბესიკი გარიცხეს ინსტიტუტიდან. სასამართლო პროცეს კიროვის რაიონის სასამართლოში აუარებელი ხალხი დაესწრო მათ შორის რუსეთიდან ჩამოსული აქტივისტები და უცხოელი ვექილები რომლებიც ტურისტების სახით იყვნენ ჩამოსულები. სასამართლო პროცესი გაშუქებული იყო ამერიკის და ევროპის პრესაში. შევარდნაძის ვიზიტის საწინააღმდეგო აქციების შესასუსტებლად შევარდნაძის პირადი ბრძანებით საკასაციო სასამართლოზე 3 თვის პატიმრობის მერე ბესიკს ერთი წლით პატიმრობა შეუცვალეს სამი თვის პირობითი პატიმრობით და საპყრობელოდან გაანთავისუფლეს. ერთი კვირის თავზე რახელის ოჯახმა

ისრაელში ამოსვლის უფლება მიიღო. 1987 წელს რახელი მის შვილებთან, მამასთან და დასთან ერთად ამოვიდა ისრაელში. ზაზას ისრაელში შეეძინა ვაჟი, რომელსაც მამის სახელი, გაბრიელი დაარქვეს. ზაზამ მუშაობა დაიწყო თელ-ავივში ერთ-ერთ სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. შემდგომ სკოლების ერთ-ერთი ქსელის მათემატიკის განყოფილების გამგედ, პარალელურად გამოსცემს მათემატიკის სახელმძღვანელოებს, რომლებითაც სწავლობენ ისრაელის სკოლებში. ბესიკი ისრაელში დაქორწინდა ლენინგრადელ ებრაელ გოგონაზე იულიაზე. მათ შეეძინათ ორი ქალიშვილი დებორა და მირი. ბესო მუშაობს სადაზღვევო კომპანიაში. მიუხედავად იმ მძიმე, რთული პერიოდისა, მუდმივი შიშისა თავისი შვილების მიმართ, რომელთაც რახელმა სიცოცხლე უძღვნა, მისი სული არ გატეხილა და არ დაუძლურებულა. 2006 წელს რახელი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

### ქოსაშვილი მარია (1939-2007)



სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდგომ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში; უცხო ენათა ინსტიტუტში – ფრანგულ და ინგლისურ განყოფილებაზე. სრულყოფილად ფლობდა შვიდ ენას. წარჩინებით დაასრულა უნივერსიტეტი და მსახურობდა რესპუბლიკის პროკურატორაში. 1972 წელს დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია, მიწვეულ იქნა რესპუბლიკის პროკურორის უფროს თანაშემწედ. 1986 წელს დაინიშნა იუსტიციის საკითხებში მთავარ მრჩეველად რესპუბლიკის პროკურატორაში და შემდგომ რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ. იუსტიციის პოლკოვნიკი – მარია

ქოსაშვილი გახლდათ მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი, 35 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ატარებდა სალექციო კურსს თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის მიერ არაერთი ჯილდო, მედალი და საპატიო სიგელით აღინიშნა მისი წარმატებული საქმიანობა.

### ლეილა თეთრუაშვილი (1941-2007)




დაიბადა ქ.ქუთაისში მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა სკოლა წარჩინებით, შემდეგ წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტის ქართულ-გერმანული განყოფილება, ხოლო 1969 წელს – თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა გერმანული ფილოლოგიის განხრით. 1973 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილებაში. 1980 წელს დაიცვა საკანდიდატო

დისერტაცია თემაზე: „პანთეიზმის პრობლემა ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაში“ და 1997 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ვაჟა ფშაველას და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობისათვის“.

1975 წლიდან იყო გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტის წევრი, 1975-1991 წლებში ამავე საზოგადოების სწავლული მდივანი. მრავალჯერ მონაწილეობდა ვაიმარში გამართულ გოეთეს საერთაშორისო კონგრესებში. 1981 წლიდან გახლდათ გოეთეს საერთაშორისო კვლევითი ცენტრის წევრი მოსკოვში და ვაიმარში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი კლასიკურ გერმანულ ლიტერატურასა და შედარებით ლიტერატურამცოდნეობაში (კომპარატივისტიკა), როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. 1982 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია გოეთესა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. მისი მრავალფეროვანი კვლევის სხვა შედეგები თავმოყრილია დიდტანიან წიგნში „სალიტერატურო-სამეცნიერო კვლევანი. ესეისტური წერილები“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

### ნანა შაბათაშვილი დავარი (1949-2018)



ნანა შაბათაშვილი დავარი - ქართველი ებრაელი პოეტი და პუბლიცისტი, დაიბადა ქალაქ თბილისის ებრაელების უბნად წოდებულ რაიონში „მეედანში“. მიუხედავად ოჯახის ეკონომიური გაჭირვებისა, ნანამ ფრიადებზე დაამთავრა საშუალო სკოლა. უკვე სკოლის ასაკში დაიწყო ლექსების წერა, ხშირად აქვეყნებდა საქართველოში გამომავალ ჟურნალ გაზეთებში. 18 წლის გათხოვდა და 22 წლისა უკვე სამ შვილს ზრდიდა, მიუხედავად ამისა მან დაეუფლა ფარმაკოლოგიის პროფესიას. ნანას გვარის ნახვა საბჭოთა პრესაში პროგრესულად

მოაზროვნე ქართველ ებრაელებს სიამაყით ავსებდა, რადგან იმ პერიოდში ჯერ კიდევ ქალის სწავლა-განათლება ქართველ ებრაელების ოჯახებში ნაკლებ პოპულარული, შეზღუდული იყო და ქალის მთავარ მოვალეობად შვილების აღზრდა და ოჯახის მოვლა პატრონობა ითვლებოდა. ნანა შინაგანად ყოველთვის ებრძოდა ასეთი სახის დისკრიმინაციას და თავის პოეზიაში ყველანაირ ჩარჩოებს არღვევდა. მისი ლექსების უმეტესობა ლირიკული ხასიათისაა. სწავლამოწყურებული ნანა 40 წლის ასაკში იღებს უმაღლეს განათლებას

ფილოლოგიის პროფესიით. ამავედროულად იწყებს მუშაობას ქალაქ თბილისის დიდი სამხატვრო გალერეის „მხატვრის სახლი“ს ადმინისტრატორად. ნანას წიგნის „ქანაანიდან ვიდრე მცხეთამდე“ პრეზენტაციაც და მის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოც სწორედ მხატვრის სახლის დარბაზში იმართება. ნანას ამ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი აქვს თავის სამუდამო საცხოვრებლად ისრაელში ამოვიდეს. 43 წლის ასაკში ის ისევ ხდება დედა და თავის მეუღლესთან, იცხაკ დავარაშვილთან ერთად, მათ 4 შვილთან ერთად (რევაზ, მათა, დავითი და პატარა მარი), 1991 წლის მაისში ისრაელში ამოდიან. მისი ჩამოსვლა ისრაელში მაცხოვრებელი ქართველი ებრაელების ხელოვნების დამფასებელთა ჯგუფში შეუმჩნეველი არ რჩება და მის გარშემო იკრიბება მისი პოეზიის თაყვანისმცემელთა ახალი ჯგუფი. ნანა იწყებს თანამშრომლობას ისრაელში გამომავალ ჟურნალ „დროშა“ში ამავედროულად მისი ლექსები სისტემატიურად ქვეყნდება საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში. მიუხედავად იმისა რომ მას დიდი სურვილი გააჩნდა ივრითულად ეწერა ლექსები, სითამამე არ ეყო და ვერ გახედა ივრითზე წერა. 1995 წელს ოჯახი გადადის საცხოვრებლად ქალაქ აშდოდში, სადაც ნანას მოღვაწეობას ემატება ახალი სფერო, იგი აყალიბებს ქართულენოვან სატირისა და იუმორის მუსიკალური კომედიის თეატრს „ქნარს“.

ნანა იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და პრემია, რომელთაგანაც აღსანიშნავია ანა კალანდაძის პრემიის ლაურეატის წოდება. იგი საქართველო-ისრაელის ურთიერთობების კულტურის დესპანად იქნა დანიშნული. მას ხშირად იწვევდნენ საქართველოში, როგორც პოეტსა და შემოქმედს. მის ლექსებზე შექმნილია სიმღერები, დაიდგა სპექტაკლი, რომელიც საქართველოშიც და ისრაელშიც მრავალი სცენიდან გაჟღერდა. ნანა შაბათაშვილი - დავარი იყო ძალიან ოპტიმისტური შემართებით სავსე, ენერგიული, დაულალავი, სიცოცხლისმოყვარული ადამიანი, რაც აშკარად იგრძნობოდა მის შემოქმედებაში: პოეტი, მსახიობი, შესანიშნავი მომღერალი, ორგანიზატორი, ამ ბოლო დროს აშდოდში აღორძინებული ქართულ-ებრაულ კულტურის ინიციატორი, ბევრი კულტურული ღონისძიებისა თუ გამოფენის სულისჩამდგმელი. გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, დაკრძალულია აშდოდის სასაფლაოზე.

მანანა დავითაშვილი-გოლდოვტი (1953-1993)



მანანა თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის 23ე საშუალო სკოლა. 1970 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ჩაირიცხა ისტორიის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო საქართველოს მეგლთა დაცვის საზოგადოებაში. მერე კი, როცა პროფესორ ირაკლი ციციშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა ისტორიისა და კულტურის ყველთა დაცვის სამმართველო, მანანა იქ გადაიყვანეს სამუშაოდ, მას ევალეზობდა საშეფო მუშაობის ორგანიზება.

**80** იანი წლების დასაწყისში, მანანამ ისრაელში წასვლა გადაწყვიტა. **1982-1988** წლებში მანანა დავითაშვილს „ატკაზში“ მოუხდა ყოფნა. მან თბილისში, მსოფლიოში ცნობილ აღმოსავლეთმცოდნესთან, აწ განსვენებულ ნისან ბაბალიკაშვილთან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა ივრითი და მერე სხვებსაც ასწავლიდა თბილისში, რიგასა და მინსკში.

ისრაელში წასვლას პირი არ უჩანდა. მანანა ავრცელებდა და ხშირად თვითონაც თარგმნიდა სიონისტურ ლიტერატურას. ალიის სხვა აქტივისტებთან ერთად, იგი ხვდებოდა საბჭოთა კავშირში უცხო ქვეყნის პასპორტებით ჩამოსულ ისრაელის მოქალაქეებს.

**1988** წლის **15** სექტემბერს მანანა დავითაშვილი ისრაელში ამოვიდა. ისრაელში ამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ, მან მუშაობა დაიწყო სოხნუთში. იგი მეგზურობას უწევდა საბჭოთა კავშირიდან წამოსულ ტურისტთა საექსკურსიო ჯგუფებს. სიყვარულით მოუთხრობდა ჩვენი ქვეყნის სტუმრებს ისრაელის ბუნების, წარსულისა თუ აწმყოს შესახებ. ეს ცოდნა კი მას ჯერ კიდევ თბილისში ჰქონდა შეძენილი.

„ვაჟკაცი ქალიაო“ - ეუბნებოდნენ მანანას მშობლებს ისრაელში სტუმრად ნამყოფი, თბილისში დაბრუნებული ებრაელები. **1990** წელს ახალ რეპატრიანტთა დასახმარებლად საინფორმაციო ცენტრში გადავიდა სამუშაოდ. მანანა დავითაშვილმა ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. ჩვენი თემის ღირსეულმა ქალბატონებმა წარუშლელი კვალი დატოვეს ებრაელობის პროგრესულ განვითარებაში, გაზარდეს საამაყო მომავალი თაობა და ანდერძად დაგვიბარეს: ქველმოქმედება, სიკეთე, მიცვა, დაუოკებელი სწრაფვა განათლების მისაღებად. ყოველივე ეს მუდმივად იარსებებს, ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ.

**პროფესორი დოდო ჩიკვაშვილი – თელავის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკულტეტი**